საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 24 სექტემბერი. 2021 წ. №179 (9298) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

③

ქარდავა მსჯავრდებულია, ხოჯევანიშვილი ჯერ მხოლოდ ეჭვმიტანილი...

ანონიმი ავტორების ნაჯღაბნებს (ფაილებს) ნორმალურ ქვეყნებში სანაგვეზე ყრიან!

③

მავნებელი მელია ოპოზიციას ისევ იპირისპირებს!

④

ნაცების კარიკატურა

⑥

ანზორ თოთაძე:

დემოგრაფიული ვითარება კიდევ უფრო მძიმდება

ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ მდივანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტიერეშს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა ანტონიო გუტიერეშს გენერალური მდივნის თანამდებობაზე მეორე ვადით არჩევა მიულოცა და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გაეროსა და გენერალური მდივნის პერსონალურ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა აფასებს გაეროს ჩართულობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ საქართველოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან, გაეროს გენერალური ასამბლეისა და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციები უმნიშვნელოვანესი მექანიზმებია, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული ვითარება საერთაშორისო დღის წესრიგში მაღალ დონეზე შენარჩუნდეს.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის ერთგულია, რაც საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას და საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას ისახავს მიზნად. საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და გაეროს გენერალური მდივნის შეხვედრა ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა.

სამუზეუმო „ვეფხისტყაოსანი" საჩუქრად გაეროს...



უნიკალური ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი", რომლის ყდაც საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ გუჯი ამაშუკელმა მოჭედა, ნიუ იორკში, გაეროს არტ-კოლექციაში განთავსდა. „ვეფხისტყაოსნის" სამუზეუმო ეგზემპლარი, რომელიც 2017-2018 წლებში, თბილისსა და პარიზში, მხატვრებისა და კალიგრაფების ჯგუფის მიერ შეიქმნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს ოფიციალურად გადასცა.

ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური საგანძურის ჭედური ყდა, რომელიც გუჯი ამაშუკელმა შექმნა, დამზადებულია ვერცხლისგან და გამოყენებულია 20-მდე დასახელების ძვირფასი ქვა. გუჯი ამაშუკელის მიერ შექმნილი ქანდაკებები, სიმბოლური ხასიათის ნაკეთობები, მედალიონები, სამკაულები თუ მითოლოგიურ-რელიგიურ თემებზე გამოქანდაკებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები მსოფლიოს ცნობილი მუზეუმების, გალერეებისა და კერძო კოლექციონერების საკუთრებაა.



გუჯი ამაშუკელის მიერ შექმნილი ყოველი ნივთი უნიკალურია და არ მეორდება.

„ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა ამ ისტორიულ ღონისძიებაში მონაწილეობა. ჩვენ საჩუქარს გადავცემთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ჩემთვის დიდი პატივია მისი ოფიციალური გადმოცემა. მადლობა მინდა გადავუხადო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ყველაფრისთვის — საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს საჩუქარი გაეროს სათავო ოფისში, მეორე სართულზე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე განთავსდა, სადაც მათ შორის მდებარეობს დარბაზი, რომელშიც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომები ტარდება. ღონისძიებას გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ატულხარე დაესწრო.

ქართველოლოგიის პროგრამა ჰარვარდში

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის ფინანსური ძალისხმევით, პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში, ქართველოლოგიის პროგრამა ამოქმედდება.

პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტების ახალი თაობის აღზრდას, რომლებიც არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ მსოფლიოს სამეცნიერო და ინტელექტუალურ წრეებში საქართველოს შესახებ კვლევების მხარდამჭერები და ცოდნის გამავრცელებლები გახდებიან. პროგრამა ასევე მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს ისტორიის, კულტურის, ლიტერატურისა და პოლიტიკის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერებაში შეტანილი წვლილის შესახებ აკადემიური ცოდნის გავრცელებისა და გაცვლისთვის.

გათვალისწინებული იქნება კვლევები კავკასიოლოგიის მიმართულებითაც, ყურადღება გამახვილდება საქართველოსა და აშშ-ს შორის აკადემიური და სამეცნიერო კვლევების შესაძლებლობებზე, ასევე საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების განხორციელებაზე. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებსა და არქივებში, კვლევითი და კოლაბორაციული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მიზნით, ქართველი და ამერიკელი მეცნიერები და მკვლევრები მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას.

ირაკლი ღარიბაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, ჰარვარდის ნიუ-იორკის კლუბში, ქართველოლოგიის პროგრამის ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია გაიმართა. ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამა 2022 წლის თებერვლიდან ამოქმედდება პროგრამას ამერიკელი მეცნიერი და ქართველოლოგი პროფესორი სტივენ ჯონსი უხელმძღვანელებს, რომელიც 40 წელზე მეტია მუშაობს ქართველოლოგიის მიმართულებით და საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების გულითადი მხარდამჭერია. ქართველოლოგიის პროგრამის საინაუგურაციო ლექციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წაიკითხავს.

„თავმდაბლურად ვამაყობ ქართველი ხალხის სახელით აქ ყოფნით და ამ ისტორიული აკადემიური პარტნიორობის დაწყებით. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველად, ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამას ვნერგავთ. მადლობელი ვარ ჩვენი მეგობრების, ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც ამ ისტორიული მოვლენის ხორცშესხმაში მონაწილეობდნენ.

ეს პროგრამა ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერებაში შეტანილი წვლილის, ასევე მისი თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შესახებ აკადემიური ცოდნის გავრცელებას და გაცვლას. გათვალისწინებული იქნება კვლევები კავკასიოლოგიის მიმართულებითაც.

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამის განხორციელება მომდევნო წლის თებერვლიდან დაიწყება. პროგრამას ამერიკელი მეცნიერი და ქართველოლოგი, პროფესორი სტივენ ჯონსი უხელმძღვანელებს. ბატონი სტივენი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების გულითადი მხარდამჭერია. ის 40 წელზე მეტია მოღვაწეობს ქართველოლოგიის დარგში. ამდენად, ის იდეალური კანდიდატია ამ რანგში“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართველოლოგიის ახალი პროგრამის ხელმძღვანელებს საჩუქრად გადასცა უნიკალური ინგლისურენოვანი გამოცემის სამტომეული — „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია“, რომლის ავტორიც ქართული მუსიკისა და ფოლკლორის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ანზორ ერქომაიშვილია.

პროფესორი სტეფან ჯონსი:

გავგზავნით ამერიკელ სტუდენტებს საქართველოში!

ჩვენ მოვაწყობთ ძალიან ბევრს სემინარს, კონფერენციას, **დავპატიჟებთ ქართველ მეცნიერებს, აქ, ჰარვარდის კამპუსში,** — ამის შესახებ ქართველოლოგიური სწავლებების პროგრამის დირექტორმა, ისტორიის პროფესორმა სტეფან ჯონსმა, ჰარვარდის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის პროგრამის საინაუგურაციო ღონისძიების შემდეგ განაცხადა.

„გავაგზავნით ჩვენს სტუდენტებს საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ შევქმნათ კადრები ამერიკელი მეცნიერების, რომლებიც სწავლობენ ქართულ ისტორიას, პოლიტიკას, კულტურას და ა.შ.

ამიტომ, ეს იქნება საერთო პროგრამა, არა მხოლოდ ამერიკის მხრიდან, ასევე საქართველოს მხრიდანაც. ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიიღო ასეთი ინიციატივა და მოგვცა საშუალება, რომ შევქმნათ ეს პროგრამა. ჩვენ ამაზე დიდი ხანია ვფიქრობთ, ვოცნებობთ, ვმუშაობთ, მაგრამ სანამ არ მივიღებდით ასეთ მხარდაჭერას, არაფერი არ გამოვიდოდა. ამისთვის ძალიან მადლობელი ვართ“, — განაცხადა პროფესორმა.

ელჩებთან შეხვედრაზე შარლ მიშელის დოკუმენტის და ჩანაწერების საკითხი არ განხილულა

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ევროკავშირის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან შეხვედრაზე საუბარი არც შარლ მიშელის და არც სავარაუდო ფარული ჩანაწერების საკითხზე არ ყოფილა. მისივე თქმით, შეხვედრა მხოლოდ საარჩევნო საკითხებს ეხებოდა.

ბინძური კაცი!

ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისთან „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეებს შორის გუშინ სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ირაკლი კობახიძე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარს აკეთებდა, იქვე მედიის წარმომადგენლებს ნიკა მელია ესაუბრებოდა, რომელიც დიპლომატებთან შეხვედრაზე შედიოდა.

ჟურნალისტებთან საუბრისას მელია აცხადებდა, რომ „ქართული ოცნება“ დმანისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „ნაცმოძრაობას“ პროვოკაციაში ადანაშაულებს. ამის შემდეგ ის ირაკლი კობახიძესთან მიიჭრა და მმართველი გუნდის ლიდერს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. კობახიძემ კი მელიას პროვოკატორი და ხულიგანი უწოდა.

„ეს არის მაგალითი, თუ როგორ აწყობენ პროვოკაციებს ეს ნაძირლები და ბინძურები. პროვოკატორი, ხულიგანი უინტელექტო, ბინძური კაცი“, — განუცხადა კობახიძემ ჟურნალისტებს და ადგილი დატოვა.

საპარლამენტო არჩევნები 2024 წელს ჩატარდება, პირობას არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევთ

მთელ **რადიკალურ ოპოზიციას შემიძლია, დავპირდე, რომ 2024 წელს ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები. ეს არის ჩემი პირობა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევ,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გუშინ კიდევ ერთხელ განაცხადა.

„რაც შეეხება საარჩევნო შედეგს, არასდროს ისეთი თავდაჯერებული არ ვყოფილვართ ამ შედეგის კუთხით, როგორც დღეს ვართ. საუბარი არ არის არც 40, 43, 58 პროცენტზე და ასე შემდეგ, საუბარია, რომ ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად წინა არჩევნების შედეგების გაუმჯობესება. ამაზე მეტყველებს მათ შორის ინფორმაცია, რომელიც მივაღწიეთ ჩვენ შტაბებთან შეხვედრების დროს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

გაერო — პენსიაზე გასული სუპერგმირი

გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გაერო პენსიაზე გასულ სუპერგმირს შეადარა.

„მესმის, რომ გაეროს კრიტიკა ხშირად ისმის, თუმცა ჩვენს თავს ვაკრიტიკებთ. გაერო არ არის შენობა, გაერო — ლიდერებია. ზუსტად მათ შექმნეს გაერო 76 წლის წინ. შეეძლოთ თუ არა მათ ყველაფრის გათვლა? დარწმუნებული ვარ, რომ არა. შეეძლოთ თუ არა წარმოედგინათ, რომ ვეტოს უფლების მექანიზმი გახდებოდა ინსტრუმენტი, როდესაც ერთს ყველას დაშანტაჟება შეუძლია? დარწმუნებული ვარ, რომ არა. გაეროს დიდი ხანია მხოლოდ კრიტიკა ესმის. ესმის ბრალდებები, რომ არაფერი შეუძლია. ყველაზე საშინელი ბრალდება ის არის, რომ გაერო ერთა ლიგად იქცა. დღეს გაერო პენსიაზე გასული სუპერგმირივითაა, რომელსაც დაავიწყდა, რისი გაკეთება შეეძლო. გაერო თავს უძლურ და სუსტ მოხუცად გრძნობს, რომლის ცხოვრებამ ჩაიარა. იქნებ გაერო გაიხსენებს რამეს? გაიხსენებს, თუ როგორ მიიღო 1981 წლიდან მილიარდზე მეტმა ადამიანმა სუფთა სასმელ წყალზე წვდომა, ვინ უზრუნველყო 83 ქვეყანაში 9 მილიონზე მეტი ადამიანი საკვებით, ვისი დამსახურებით გაქრა ისეთი სირცხვილი, როგორიც აპარტეიდია, ვისი „ცისფერი ჩაფხუტები“ უზრუნველყოფენ მშვიდობას ათეულობით ქვეყანაში, ვინ შექმნა „იუნესკო“, „იუნისეფი“, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

მმართველი პარტია თბილისის საკრებულოში მყარ უმრავლესობას მოიპოვებს!

„ქართული ოცნების“ სოციოლოგიური ჯგუფის მიერ, თბილისში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მმართველი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატები ყველა ოლქში ლიდერობენ.

შესაბამისად, თბილისის საკრებულოს არჩევნები ამ შედეგებით რომ დასრულდეს, საკრებულოს წევრთა მანდატები პარტიებს შორის შემდეგი სახით განაწილდებოდა:

„ქართული ოცნება“ 32; „ნაციონალური მოძრაობა“ 11; „საქართველოსთვის“ 2; „გირჩი — მეტი თავისუფლება“ 2; „პატრიოტთა ალიანსი“ 1; „ლელო“ 1; „მოძალაძეები“ 1.



„შესაბამისად, თუ არჩევნები ამ შედეგებით დასრულდება, „ქართული ოცნებისა“ და კახა კალაძის გუნდი თბილისის საკრებულოში, მაჟორიტარების ჩათვლით, მყარ უმრავლესობას მოიპოვებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 2 ოქტომბერს, ჩვენი დედაქალაქის ამომრჩევლების მხარდაჭერით, კახა კალაძე პირველივე ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს მისი საკრებულოს გუნდიც და შესაბამისად, გაიმარჯვებს თბილისიც“, — აღნიშნა კვლევის შედეგების გამოცხადებისას კახა კალაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა გიორგი ამილახვარმა. სოციოლოგიური კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 16-20 სექტემბერს. კვლევის ფარგლებში, გამოიკითხა 2 792 რესპოდენტი. ცდომილების ზღვარი 3%-ს შეადგენს.

ფარული ჩანაწერების „ქარიშხალი“



ანონიმი ავტორების ნაჯღაბნებს (ფაილებს) ნორმალურ ქვეყნებში სანაგვეზე ყრიან!

26 ათასი ფაილი, 589-ე დისკი, 181 საათისა და 30 წუთის ხანგრძლივობის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ფოტო, ვიდეო და აუდიოჩანაწერები 2013 წლის 5 სექტემბერს, ე.წ. მოდულის შენობაში, გამანადგურებელი აპარატის „შრედერის“ საშუალებით გაანადგურეს.

საერთო ჯამში კი განადგურდა 110 დისკი, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველ 144 ფაილს შეიცავდა. 5 სექტემბერს განადგურებულ დისკებში არ შედიოდა სამეგრელოში, სამალავებში აღმოჩენილი მასალები.

2013 წელს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარაზენის ტყის მასივში, 8 ცალი პოლიეთილენის კასრი იპოვეს, სადაც დიდი ოდენობით ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, შსს-ს საინფორმაციო ბაზიდან წამოღებული დოკუმენტები, ნარკოტიკული საშუალებები და 18 ცალი ვიდეოფირი აღმოჩნდა. როდესაც გამოძიებამ კასრებში ნაპოვნი ვიდეოფირებზე ჩაწერილი მასალა დაათვალიერა, აღმოაჩინა, რომ ორ მათგანზე ორი მამაკაცის გაუპატიურების ფაქტი იყო ჩაწერილი. გამოძიებამ ფირზე აღბეჭდილი ყველა პირის იდენტიფიცირება მალევე მოახერეხა და ისინი დააკავა.

ნაპოვნი ვიდეოჩანაწერებისა და მოკვლეული მასალით გამოძიებამ დაადგინა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოსა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს მეგის ქარდავას პოლიციელებისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისგან შექმნილი ჰქონდა დაჯგუფება, რომლის წევრებიც უკანონოდ აპატიმრებდნენ ადამიანებს და სასურველი ჩვენების მიღების მიზნით, წინასწარ აშენებულ მიწისქვეშა ბუნაგებში აწამებდნენ და აუპატიურებდნენ.

დაკავებულის გასაუპატიურებლად კი ადამიანს ქირაობდნენ, რაშიც მას ფულს უხდიდნენ. „კასრების საქმეზე“ განაჩენი 2014 წელს გამოცხადდა. საქმის მასალების მიხედვით, 12 ბრალდებულიდან ერთ-ერთს — **თ. უ-ს** ბრალი ორი მამაკაცის გაუპატიურებაში ედებოდა, რის სანაცვლოდაც მან მთლიანობაში 55 ლარი აიღო. ამ საქმეზე ბრალდებულია **მეგის ქარდავა.** რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს, **კოხტა კოდუას** — ამჟამად უკრაინაში იმყოფება, თუმცა მისი თავისუფლება დიდხანს არ გასტანს.

თ.უ. გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებაში ამბობს: „2009 წელს, ზაფხულის დასაწყისში, ქალაქ ზუგდიდში მომიხდა ჩხუბი, ჩემთვის უცხო პიროვნებებთან, რა დროსაც ზუგდიდის პოლიციამ დამაკავა და ადმინისტრაციული წესით დამსაჯეს და 10 დღით პატიმრობა და ჯარიმა 100 ლარი მომისაჯეს. ჩემი საქმის წარმოების დროს გავიცანი გამომძიებელი **გელა ფეტელავა,** რომელმაც პოლიციასთან თანამშრომლობა შემომთავაზა. კერძოდ, სხვადასხვა ინფორმაციის მოტანა დამნაშავე პირებზე. ამაზე მე მას ვუთხარი უარი, რის შემდეგაც მან შემიყვანა თავის უფროსთან **კოხტა კოდუასთან,** მისსავე სამუშაო კაბინეტში, რომელიც მდებარეობს ზუგდიდის ძველი ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე პოლიციის შენობაში.

კოხტა კოდუას ამ შეხვედრამდე არ ვიცნობდი. კოხტა კოდუამ მითხრა, რომ თუ არ ვითანამშრომლებდი პოლიციასთან, უარესი დამემართებოდა. ანუ დამემუქრა დაჭერით. მე შემეშინდა და თანხმობა განვუცხადე. ამის შემდეგ, კოხტა კოდუამ მითხრა, რომ იყო ერთი პიროვნება, რომელსაც სექსუალური კონტაქტი ჰქონდა საკუთარ დასთან. ამ პიროვნებას ბომბი აქვს შემოტანილი და რაღაცის აფეთქებას აპირებსო. ჩვენ მას როცა დავაკავებთ, დაგირეკავთ, შენ უნდა მოხვიდე და „გააქათმო“ ანუ გააუპატიუროო. მე მას დავთანხმდი“, — წერს **თ. უ.**

2 სექტემბერს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხზე მომუშავე დროებითი კომისია. მუშაობის პროცესში კომისიამ ვერ მოიპოვა ვერც ერთი ოფიციალური დოკუმენტი იმისა, რომელიც დაადასტურებდა, რომ აღმოჩენილი ვიდეო, აუდიო და ფოტომასალის მოპოვება კანონიერად ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები განადგურდა, მაშინდელი შს მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** არ გამორიცხავდა, რომ უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების ასლები არსებობდა.

„სამწუხაროდ, ჩვენი ინფორმაციით, მასალების უმრავლესობა კოპირებულია. არსებობს დიდი ალბათობა, რომ იმ მასალის ასლები, რომელიც შსს-ს არქივში დაგვხვდა და რომელიც მოვიპოვეთ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ჰქონდეთ. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა ჩაწერა, მიყურადება, ამიტომ უნდა მოხდეს ამ მრავალწლიანი ნეგატიური მასალის შეფასება, მკაცრი შეფასება უნდა მოხდეს კომისიის მთავრობის და საზოგადოების მხრიდან, ამის შემდეგ ბუნებრივია, საჭირო იქნება გამოძიების დაწყება“, — აცხადებდა 2013 წელს **ირაკლი ღარიბაშვილი.**

ის, რომ ყოფილ მაღალჩინოსნებს არქივი ქვეყნიდან გატანილი აქვთ, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პერიოდულად, ინტერნეტ სივრცეში ვრცელდებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები. ამჯერად ინტერნეტში განთავსებული იქნა დაახლოებით 58 000 დოკუმენტი, რომელიც სასულიერო პირების შესახებ კომპრომატებს შეიცავს. ჩანაწერები ანონიმურმა წყარომ 13 სექტემბერს გადასცა „TV პირველს“, „ფორმულას“ და „მთავარს“. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ფარული მასალების გავრცელების საქმეზე გამოძიება დაწყებულია და ყველა ვერსიას დაამუშავებენ, მათ შორის იმასაც, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ამ ყველაფერში ჩართული იყოს **გიორგი გახარია,** ან **ალექსანდრე ხოჯევანიშვილი,** რომელიც სუს-ში „ფარულ ოპერატიულ საქმიანობას“ კურირებდა.

რა კავშირი აქვს ფარულ ჩანაწერებთან ხოჯევანიშვილს, ამას ახლა გამოძიება არკვევს. **გიორგი გახარია** დარწმუნებულია, რომ გამოძიება ხოჯევანიშვილამდე ვერ გავა, რადგან, მისი თქმით, ხოჯევანიშვილს ამ მასალებთან არანაირი კავშირი არ აქვს და ვერ ექნებოდა. როგორც გახარიამ აღნიშნა, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა „ჭორაობა“ უნდა დაასრულონ და ღია, სერიოზული გამოძიება აწარმოონ.

„ორგანიზაცია „ოცნება“ ისეთ პანიკაშია, რომ დარწმუნებული ვარ, ყველაფერს დაგვაბრალებენ. ჩვენ ამასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გვაქვს. მე ერთ რამეს ვიტყვი. დროზე გამოძიება, სერიოზული გამოძიება დაიწყონ. დღეს გამოუყვანიათ კიდევ ვიღაც ექსპერტი და აი, როგორ არ იცოდა, უნდა სცოდნოდაო, სირცხვილია ხალხო, ამ ზღაპრებში ცხოვრება, ილუზიებში ცხოვრება!

გამოძიება მეგობრებო! ჭორაობა და ტლიკინი კი არა, გამოძიება! შენ რომ ასეთი კატასტროფა გემართება ქვეყანაში, შენი ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტში, იმის მაგივრად, რომ იფიქრო როგორ დააბრალო, ვის დააბრალო, პოლიტიკურად როგორ დააკონვერტირო, ეკლესია როგორ დაიზიანო, სასწრაფოდ გამოძიება უნდა დაიწყო“, — განაცხადა **გიორგი გახარიამ.**

ყოფილი პრემიერის უარყოფის მიუხედავად, სუს-ის მიერ გავრცელებული სკანდალური ფაილების უკან გიორგი გახარიას ინტერესებს ხედავს **მეუფე იაკობი,** რომლის განცხადებით, გიორგი გახარია შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებისგან ითხოვდა, რომ მღვდლებზე და ზოგადად, სასულიერო პირებზე შეეგროვებინათ კომპრომატები. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური **იოვანე მჭედლიშვილი** აცხადებს, რომ საჭიროა, გამოძიებამ კითხვებს პასუხი გასცეს და ყველა დამნაშავემ საკადრისი პასუხი უნდა მიიღოს.

ქარდავა მსჯავრდებულია, ხოჯევანიშვილი ჯერ მხოლოდ ეჭვმიტანილი...

„არის ბევრი სიმართლე, უზუსტობა, ტყუილი, ცილისწამება — ყველაფერი ამის ნაზავია. არ მქონია შეგრძნება, რომ ოდესმე არ მისმენენ. არ აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფო გისმენს თუ - სხვა ადამიანები. დღეს ძალიან მარტივად ტეხავენ სოციალურ ქსელებს, მარტივია სხვადასხვა წყაროთი ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება. ვერავის ცილს ვერ დავწამებ. ამისთვის, გამოძიება დაიწყო. გამოძიებამ კეთილი უნდა ინებოს და ყველა ადამიანი დაამშვიდოს სწორად წარმართული გამოძიებით მიღებული პასუხებით. საკადრისი პასუხები უნდა მიიღონ იმ ადამიანებმა, ვინც ამ ყველაფერში იყვნენ დამნაშავეები. არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც, სახელმწიფო სტრუქტურები. შეიძლება, სხვა ადამიანები იყვნენ ამაში ჩართულნი“, — ამბობს მამა **იოვანე მჭედლიშვილი.**

ფარულ ჩანაწერებში მოხსენიებული პირების შესახებ მედიასაშუალებებში დაუშტრიხავად პირადი ინფორმაციის გავრცელება, „ქართული ოცნების“ წევრის **კახა კახიშვილის** განცხადებით, კანონდარღვევაა და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორი და სახალხო დამცველი არ უნდა დუმდნენ. პარლამენტის წევრის განცხადებით, უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს ამ საქმის გამოძიება და დადგინდეს ავთენტურია თუ არა გავრცელებული მასალები.

„პირველ რიგში, გასარკვევია საიდანაა, ავთენტურია თუ არა. ნამდვილად ბევრმა ადამიანმა ამოიცნო. ე.ი. რაღაც ნაწილში ავთენტურია, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავთენტურ მასალას, შეიძლება, დაემატოს არაავთენტური. ავთენტურ მასალას, უბრალოდ, მატარებლის ფუნქცია ექნება და არაავთენტურიც გაჰყვება. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრით, უმოკლეს ვადაშია გამოსაძიებელი.

მოლოდინიც მაქვს და მოთხოვნაცაა ასეთი, რომ აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული სკრუპულოზურად და ყველა ადამიანმა, ვინც მიიღო მონაწილეობა ამაში, ალბათ, პასუხიც უნდა აგოს. მეორე საკითხია, ჩვენ არ ვიცით კიდევ არჩევნებამდე რა მასალები და რა სიმძიმის მასალები გამოქვეყნდება. ჩვენ ხომ ლოგიკა გვაქვს, ჩვენ ხომ კარგად გვესმის, ახლა, ყველაზე მძიმე არტილერია იქნება უკვე არჩევნების პერიოდში იმიტომ, რომ აშკარაა, ეს მასალები იყო ზუსტადაც გამოქვეყნებული საარჩევნო მიზნებისთვის“, — აცხადებს **კახა კახიშვილი.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

„საკითხი ასე მარტივად არ დაიხურება“ - ბრიუსელმა ნაბიჯების გადადგმა დაიწყო?

უცხოელი დიპლომატები თავიანთი ქვეყნების ოფიციალური აგენტები არიან. მათ უნდა ვენდოთ, მაგრამ ხანდახან შევამოწმოთ (მოვუსმინოთ) კიდეც!..

ვიდრე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოჟონილ ფაილებთან დაკავშირებით სიტუაციურად პოზიციონირებენ, დამნაშავის ოპოზიციაში მოძებნას ცდილობენ, „გამოძიებას დაველოდოთო“ — მოგვიწოდებენ, თუმცა იმავდროულად ბოლო დროის ყველაზე მასშტაბური სკანდალის კონტექსტში ვერსიებს გვთავაზობენ, ირკვევა, რომ ევროკავშირში განსხვავებული პოზიცია აქვთ და როგორც ჩანს, დაანონსებული ნაბიჯების გადადგმაც დაიწყეს — დიპლომატების სავარაუდო მოსმენის საქმეზე ბრიუსელში საქართველოს ელჩი დაიბარეს. განწყობა კარგად იკითხება თემასთან დაკავშირებით საქართველოში ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის კომენტარშიც:

„ჩვენ ამას ძალიან სერიოზულად ვიღებთ, რადგან ეს საბოლოო ჯამში, ვენის კონვენციის დარღვევას ეხება და არაა ბუნებრივი, როდესაც ასეთი დამოკიდებულებაა პარტნიორი ქვეყნის მიმართ. ევროკავშირში საქართველოს ელჩი გუშინ დაბარებული იყო ბრიუსელის სათავო ოფისში, რათა გამოგვეხატა პოზიციები და გაგვემართა შემდგომი მსჯელობა“.

მან დეტალებში ღრმად შესვლისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ მოვლენებს თვალს ადევნებს და კომუნიკაცია აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან. ამასთან, დიპლომატმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ფუნქცია-მოვალეობები შეახსენა:

„მინდა, მოსმენების საკითხს უფრო ღრმად შევეხო, როგორც შინაარსს, ასევე ზოგადად. უნდა გაგრძელდეს დისკუსია თვალთვალისა და მიყურადების შესახებ და მასშტაბზე. მინდა, ყველას შევახსენო, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურმა უნდა იმუშაოს იმ საფრთხეებზე, რაც ქვეყანას ემუქრება. მაგალითად, ტერორიზმზე, შპიონაჟზე და ეს ყველაფერი უნდა იყოს განხორციელებული ძალიან ფრთხილად და ეს ინსტიტუცია ანგარიშვალდებული უნდა იყოს. ასევე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო პირადი ცხოვრების ხელყოფის დაუშვებლობა! ყველა ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და დაცვის უფლება. მიმდინარეობს გამოძიება და უფრო ფართო დისკუსიაა საჭირო პოლიტიკურ სპექტრში, რადგან მიყურადება და თვალთვალი არ არის დემოკრატიული საზოგადოების ნაწილი“.

იხ. 4 გვ.

მავნებელი მელია ოპოზიციას ისევ იპირისპირებს!

ფრაქცია „ლელო“ პარლამენტში რიგგარეშე სესიის ჩატარებას და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გრიგოლ ლილუაშვილის დაბარებას მოითხოვს. არჩევნებამდე პარლამენტში შეკრებას არ ემხრობა „ნაციონალური მოძრაობა“. ნიკა მელიამ რიგგარეშე სესია ივანიშვილის თავყრილობად შეაფასა და თქვა, რომ „ლელოს“ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს. ამის გამო კი, ენმ-მა, თითქმის, მთელი ოპოზიციის წყრომა დაიმსახურა. არაა გამორიცხული, რომ ოპოზიციას შორის ისევ დაპირისპირება დაიწყოს და არჩევნების შემდეგ თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ მათი ისევ ფანჩატურში გაერთიანება მოუნდება, სავარაუდოდ, ეს წყენაც უნდა გაუხსენონ.

თუმცა, როგორც ჩანს, „ნაციონალებს“ ე.წ. სუს-იდან გამოჟონილი ფარული ჩანაწერების ავთენტურობა-არავთენტურობის საკითხი სულაც არ ანაღვლებს. წინასაარჩევნო პროპაგანდისთვის, რათა საზოგადოების აზრის ფორმირება მოახერხოს, ოპოზიციური მედიებით ამ თემას მშვენივრად იყენებს. არჩევნების შემდეგ კი, თუ ისევ ოპოზიციის ფანჩატურიზაცია დასჭირდება, დარწმუნებულია, რომ ოპოზიციურ პარტიებს იმათ იქით გზა მაინც არა ექნებათ.

საგანგებო სესიის მოთხოვნის საკითხზე ოპოზიციამ უკვე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. „ლელოს“ და „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფის“ ინიციატივით, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პლენარულ სხდომაზე გამოცხადდეს და ყველა კითხვას პასუხი გასცეს.

20 სექტემბერს, ენმ-ის თავმჯდომარემ და თბილისის მერობის კანდიდატმა **ნიკა მელიამ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წინააღმდეგია, „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებმა 2 ოქტომბრამდე რაიმე თავყრილობაში მონაწილეობა მიიღონ.

„წინააღმდეგი ვარ, რომ 2 ოქტომბრამდე იმ თავყრილობაში მონაწილეობა მივიღოთ – 2 ოქტომბრამდე ყველაფერს აზრი დაკარგული აქვს. 2 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ერთად უნდა ვიზეიმოთ გამარჯვება. ორი ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ჩაინიშნება ახალი არჩევნები და აუცილებლად ჩაინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები, იქ ნამდვილად უნდა გაიმართოს ყველა დისკუსია, შეიქმნას შესაბამისი საგამოძიებო კომისიები, თუ საჭირო იქნება და ა.შ. 2 ოქტომბრამდე „ნაციონალური მოძრაობის“ არცერთ დეპუტატს ბიძინა ივანიშვილის თავყრილობაში მონაწილეობის მისაღებად არ სცალია“, – განაცხადა მელიამ.

ამან „ლელოს“ ლიდერის, **მამუკა ხაზარაძის** უკმაყოფილება გამოიწვია. მისი თქმით, გაუგებარია, რა იგულისხმება „ივანიშვილის თავყრილობაში“.

„ჩემთვის ნიკა მელიას პოზიცია გაუგებარია, შეურაცხმყოფელიც კი. რას ნიშნავს „ივანიშვილის თავყრილობა“ არ მესმის. ლაპარაკია პარლამენტში ივანიშვილის მინისტრების დაბარებაზე, პრემიერ-მინისტრით დაწყებული, მათი პასუხისმგებლობის დაყენებაზე. ეს უნდა იყოს ღია და საჯარო. მეორე – ჩვენ ყველა დაკავებული ვართ, ყველა ველზე ვართ, წინასაარჩევნო მარათონში ვართ ჩაბმული, მაგრამ ხელის მოწერას და პოზიციის დადასტურებას წინ არაფერი უდგას. 2 ოქტომბრამდე ჩავატარებთ ამ სხდომას, თუ 5 ოქტომბერს, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. საპარლამენტო ტრიბუნა იმისთვის არის შექმნილი, რომ ოპოზიცია ასეთ საკითხებში არის ერთიანი. თუ ასეთ საკითხებში ერთიანი არ ვართ და მიზეზია ის, რომ თურმე ყველა ველზე ვართ და სხდომაზე ვერ მოვალთ, ამას მე ვერანაირად მივიღებ. „ქართულ ოცნებაში“ ბევრ ადამიანს პატივს ვცემ და იმათ ეს ამბავი აწუხებთ. წესით, ნორმალურ ქვეყანაში პასუხისმგებლიანმა დეპუტატმა უნდა მოაწეროს ხელი და მოისმინოს, იქნებ მართალია ეს ხალხი, მარტივად რომ ვთქვათ. იქნებ ლილუაშვილი მართალია და უცხო ქვეყნის აგენტურა შემოვიდა, ისინი გვიკეთებენ და ქვეყანას თავზე გვამხობენ? იქნებ ეს ხალხი ცამდე მართალია, ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ“, – აცხადებს ხაზარაძე.

„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი, **ხათუნა სამნიძეც** მელიას განცხადებას არასერიოზულს და უპასუხისმგებლოს უწოდებს.

„ნიკა მელია შეურაცხყოფას აყენებს ყველა დეპუტატს, მათ შორის თავის თანაგუნდელებს, მეორე მხრივ, ხელს უშლის იმას, რომ სუსი-ს უფროსი მოვიდეს პარლამენტში, გაიმართოს პოლიტიკური დებატები „ქართულ ოცნებასთან“, რისი საშუალებაც ჩვენ არ გვაქვს სხვა ფორმატში. ეს არის უპასუხისმგებლო და არასერიოზული დამოკიდებულება და ყველაზე მძიმედ რომ შევაფასოთ, ეს არის მავნებლობა“, – ამბობს ხათუნა სამნიძე.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ არგუმენტები სრულიად გაუგებარია, თუმცა გასაგებია მათი მოტივაცია, რადგანაც წინასაარჩევნო მსგავსი კომპრომატებით ბრძოლა მათთვის ყველაზე ხელსაყრელია.

„ნაციონალების“ არგუმენტები ჩემთვის სრულიად გაუგებარია და ოპოზიციის ნაწილის რეაქცია ლოგიკურია, მაგრამ არ მგონია ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდეს. ახლა არჩევნები მოდის და ერთმანეთი ოპოზიციაში მაინც სჭირდებათ. თუმცა ფაქტია, რომ „ნაციონალებს“ მათი განაწყენება დიდად არც აღელვებს, რადგანაც ზუსტად იციან, რომ თუკი არჩევნების შემდეგ აქციები და ხალხის ქუჩაში გაყვანა საჭირო გახდება, ელექტორალური რესურსი მაინც მათ აქვთ. ამიტომაც მელია ფიქრობს, რომ ოპოზიციას სჭირდება ისინი და არა ენმ-ს მთელი ოპოზიცია. ამიტომაც სულაც არ მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის განაწყენებით რაიმე ზარალს მიიღებენ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ 2020 წლის ერთიანობას მაინც ვეღარ შეძლებენ და პირიქით, მგონია მათი დაქსაქსულობა არჩევნების შემდეგ უფრო მოხდება“, – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** კი მიიჩნევს, რომ „ნაციონალების“ არგუმენტი მისაღებია. ჩიტაძე ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მობილიზებულია საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად და არ სურთ ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა.

„მიმაჩნია, რომ გამართლებულია „ნაცმოძრაობის“ პოზიცია, რადგან საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. თუმცა, თუ ისინი არჩევნების შემდეგაც ამ პოზიციაზე დარჩებიან, ეს დიდი რეზონანსის საფუძველი გახდება. მათ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა გამოძიებაში. მათ ამომრჩეველსაც გაუჩნდება კითხვები და ლოგიკური ეჭვი, რატომ შეიძლება მათ ამ საკითხის გამოძიება არ აინტერესებდეთ. არ მგონია, ამას დიდი დაპირისპირება მოჰყვეს, რადგანაც „ლელოსაც“, „ნაციონალებსაც“ და სხვა დანარჩენ პარტიებსაც ერთმანეთი სჭირდებათ. შესაძლოა, უთანხმოება მოხდეს, მაგრამ დაპირისპირება არ მოჰყვება. ასე რომ მოხდეს, ამით ისევ ხელისუფლებას გააძლიერებენ და საკუთარი თავის დაზიანების მეტს არაფერს იზამენ“, – ამბობს ჩიტაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

წინასაარჩევნო რამერუმე

ფვილგამოცლილი ტანდემი

მელიათა მორიგ ტანდემს
ოქროს მდგლის ვაი-ვიშით
ზუგდიდიდან თბილისამდე,
ნიკანორი გაჰყვა შიშით
ოცდაერთი სექტემბრიდან
არც წყალია, აღარც ღვინო,
რადგან ტელედგატიდან
გაიძურწა სამარცხვინოდ

საქმე შემოელიათ?

გიორგი თუ ლომია,
ნიკანორი – მელია,
რაღად უნდათ მერია,
საქმე შემოელიათ?

ენატანიას

ჭორებით ხელს რომ ისევ შორს,
უცხოეთისკენ იშვერო,
უცხვირპირობით შიშველო,
შარლ მიშელმა ნუმც გიშველოს!

პრობლემური მეთხუთმეტე

მოძმედი მერი რომ ჩაანაცვლონ, კახა კალაძეს 15 მეტოქე ებრძვის

მეტოქეებს ებრძვის როცა ,
თოთხმეტს მალე იგერიებს,
ალბათ, ძალას მოიკრებს და
სწამს, რომ დაძლევს ნიგერიელს?

ალექსანდრე შენგელია,
(ქუთაისი)

„საკითხი ასე მარტივად არ დაიხურება“ – ბრიუსელმა ნაბიჯების გადადგმა დაიწყო?

(მესამე გვერდიდან)

ევროკავშირი ქართული მხარის გამოძიებას არ დაელოდება!

მრავალწლიანი დიპლომატიური გამოცდილების მქონე **გიგი გიგიაძე,** რომელიც ამჟამად ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების ცენტრის უფროსი მკვლევარია, თემის კომენტირებისას ამბობს, სკანდალის კონტექსტში ევროკავშირში საქართველოს ელჩის ახსნა-განმარტებების მისაღებად დაბარება, მკაფიო ნიშანია იმისა, რომ საკითხი მარტივად არ დაიხურება და საქართველოს ხელისუფლებისგან ძალიან კონკრეტული ახსნა დასჭირდება, თუ რასთან გვაქვს საქმე? როგორ შეიძლება, რომ უცხო ქვეყნების დიპლომატები იყვნენ ფარული მიყურადების ობიექტები?

„ეს არ არის სკანდალების ძებნის მცდელობა, ეს ნამდვილად დიდი სკანდალია. რაღაც ფორმით ამის გადაფარვა, საკითხის დაკნინება, მცდელობა, ამაზე ყურადღება არ გამახვილდეს, სრულიად წარმოუდგენელია. ცხადია, ამაზე შესაბამისი რეაგირება მოხდება“,– ამბობს გიგიაძე.

ის შემდგომ ნაბიჯებსაც არ გამორიცხავს, მათ შორის, საქართველოში ევროკავშირის ელჩის ბრიუსელში დაბარებას, რათა უშუალოდ მისგან მოისმინონ, რა მოხდა რეალურად.

„დიდი ალბათობით, ევროკავშირი ქართული მხარის გამოძიებას არ დაელოდება“, – აღნიშნავს გიგიაძე და განმარტავს იმასაც, რომ სკანდალი მძიმე გავლენას ახდენს ორმხრივ ურთიერთობებზე, ცუდად აისახება საქართველო-ევროკავშირს შორის ნდობის ხარისხზე:

„ეს არ არის ნორმალური ვითარება, როდესაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების, ევროკავშირის ელჩები ფარული მიყურადების ობიექტები ხდებიან, ისინი კი ისმენენ (საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან – რედ.), რომ ეს ნორმალურია და ამას ყველა ქვეყანა აკეთებს. მსგავსი დემოკრატიულ ქვეყნებში ნამდვილად არ ხდება, ეს არის სერიოზული გადაცდენა დიპლომატიური საქმის წარმოების, დიპლომატიური პრაქტიკის და ასევე ძალიან სერიოზული დარღვევა ვენის 1961 წლის საერთაშორისო კონვენციის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“.

რა მოხდა?

12 სექტემბერს ზოგიერთმა მედიასაშუალებამ მიიღო ვებსაიტის ბმული, სათაურით **„სუს-ის კომპრომატი საპატრიარქოს წინააღმდეგ“,** სადაც განთავსებული იყო ათასობით ტექსტური, ვიდეო და აუდიოფაილი. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი სასულიერო პირებს ეხებოდა, ნაწილი კი მათ შორის, დიპლომატებს, საელჩოების თანამშრომლებს.

14 სექტემბერს საქართველოს პროკურატურამ განაცხადა, რომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით – კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა.

მასალების ავთენტურობის დადასტურების შემთხვევაში დადასტურდება ისიც, რომ ქვეყანაში ტოტალური მიყურადება მიმდინარეობს.

რას ამბობენ „ქართულ ოცნებაში“

„ქართული ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანი **შალვა პაპუაშვილი** ერთის მხრივ, ამბობს, რომ ელჩის დაბარებაში სკანდალური არაფერია, მეორეს მხრივ, აცხადებს, რომ შეხვედრის დეტალები არ იცის: **„ამაში არაფერი სკანდალური არ არის, მე ამ შეხვედრის შესახებ კონკრეტულად არ ვიცი, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, როდესაც სამწუხაროდ, უკვე მერამდენე დღეა, მედიის მხრიდან ხდება ამ საკითხით აჟიტირება, რა თქმა უნდა, განმარტებებს ვაძლევთ, მათ შორის – ჩვენს დასავლელ პარტნიორებსაც. ეს საჭიროა და ამ კომუნიკაციაში ჩვენ ყველა არხებით, რა თქმა უნდა, ვართ იმისთვის, რომ განმარტება მივცეთ. ისევე, როგორც საზოგადოებას ვაძლევთ განმარტებას, ასევე ვაძლევთ განმარტებას ჩვენს დასავლელ პარტნიორებს“.**

მმართველი გუნდის ერთ–ერთი ლიდერი **კახა კალაძე** კი დაინტერესებულ საზოგადოებას ურჩევს, დაელოდოს გამოძიების შედეგებს, იმავდროულად ირწმუნება, რომ დიპლომატებს არავინ უსმენდა.

„უნდა დაველოდოთ გამოძიებას და გაირკვეს, რა არის ტყუილი და რა – მართალი. დიპლომატებს არავინ არ უსმენდა, ამას ხაზგასმით ვამბობ და კიდევ ერთხელ გამოძიება დაადგენს ყველაფერს“.

ამასთან, ამბობს, რომ ევროკავშირში საქართველოს ელჩის ბრიუსელში, ევროკავშირის ოფისში დაბარებასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს. 20 სექტემბერს კალაძემ განაცხადა, რომ **„უშიშროების სამსახური არის იმისთვის, რომ ქვეყანაში დაიცვას უსაფრთხოება. მოუსმინოს იმას, ვინც მოსასმენია კანონის ფარგლებში. ეს ყველა ქვეყანაში ასე ხდება. შესაბამისად, ჩვენი უსაფრთხოების სამსახურიც უნდა იყოს ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე, აუცილებლად უნდა მოუსმინონ, ვინც სჭირდებათ და მოსასმენია, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში. თუ საჭიროა დიპლომატებსაც“...**

მაგთი იუბილარია!

მაგთი იუბილარია! – 22 სექტემბერს მაგთი მიღწევებით შეხვდა – 3 მილიონზე მეტი მომხმარებლით ტრადიციულად, ტელესაკომუნიკაციო ბაზრის ლიდერია, რაც ნიშნავს, რომ ყველაზე მეტი ირჩევს მაგთის მობილურ თუ დადგენილ ქსელს, ინტერნეტსა და ტელევიზიას.

- უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა
- ინოვაციური გადაწყვეტები
- დროისა და მოთხოვნების ადეკვატური სერვისები
- კვალიფიციური თანამშრომლები
- მილიონობით ერთგული მომხმარებელი
- ქვეყნის განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა
- მოსახლეობის საიმედო კავშირით უზრუნველყოფა, ყველგან საქართველოში

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ფაქტორებისა, რაც დაარსებიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მაგთის ტექნოლოგიურ და ბაზრის ლიდერობას განაპირობებს.

მაგთიკომის სერვისები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაიმარტივონ ცხოვრება, აითვისონ ახალი მიმართულებები და ტექნოლოგიური განვითარებისგან მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.

ბოლო პერიოდში დისტანციური სერვისების არსებობა და მათზე გამარტივებული წვდომა მეტად აქტუალური გახდა. მაგთიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ციფრული არხების განვითარებას, რათა მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მარტივი და კომფორტული გახადოს მაგთის სერვისებთან დისტანციური წვდომა.

სექტემბერი მაგთიკომმა საიუბილეო თვედ გამოაცხადა და ყოველ ოთხშაბათს მომხმარებლებს ყველაზე მოთხოვნად აქციებს სთავაზობს.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელად ულოცავს ამ საიუბილეო თარიღს მაგთის, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ამჟამინდელი ყოფა!

ENKA Renewables-ი საქართველოს სახელმწისფოთან არსებულ ხელშეკრულებას წყვეტს – $800 მილიონიანი ჰიდროელექტროსადგური აღარ აშენდება, – იუწყება გამოცემა ი და განმარტავს, რომ ამის შესახებ Enka Renewables-ის მშობელი კომპანიის – ENKA INSAAT-ის მიერ სტამბოლის საფონდო ბირჟაზე გამოქვეყნებული განცხადებიდან ხდება ცნობილი.

„ENKA Renewables-ი, რომელშიც ENKA INSAAT-ი 90%-იან წილს ფლობს, საქართველოს სახელმწიფოს აცნობს, რომ მოხდეს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა-ფლობა-ოპერირების თაობაზე, 2019 წლის 25 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება, რის მიზეზსაც კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ფორს-მაჟორი წარმოადგენს“, – ნათქვამია განცხადებაში. BMG 15 სექტემბერს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ ნამახვანჰესის პროექტის ინვესტორი ENKA საქართველოს მთავრობასთან საარბიტრაჟო დავის დაწყებას განიხილავდა. „რიონის ხეობის მცველების“ ლიდერი **ვარლამ გოლეთიანი** კმაყოფილია კომპანია „ენკას“ გადაწყვეტილებით. მისი თქმით, ხელშეკრულების შეწყვეტა არ აწყობს ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამ პროექტით პირადი სარგებლის მიღებაზე ფიქრობდნენ: **„ხელისუფლებაში მყოფი მთელი წყება ჩინოვნიკებისა დაინტერესებული არიან ამ პროცესით ფინანსურად. ეს პირდაპირ ურტყამს მათ. ის რომ, ენკა გავა, პირდაპირ დაარტყამს კორუფციაში ჩართულ პირებს... თუ კომპანია დარჩებოდა რიონის ხეობაში, გაცილებით დიდი იქნებოდა ზარალი, ვიდრე გასვლის შემთხვევაში. გასვლის შემთხვევაშიც იზარალებს სახელმწიფო, რადგან კომპანია ყველა შემთხვევაში მოგებული რჩებოდა“.**

ეკონომიკის სამინისტროს განცხადება

ნამახვანჰესის პროექტიდან „ენკას“ გასვლის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტრო ოთხშაბათს, 22 სექტემბერს განცხადება გაავრცელა:

„ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ნამდვილად მიიღო კომპანია „ენკასგან“ წინასწარი შეტყობინება პროექტიდან ერთი თვის შემდეგ შესაძლო გასვლის შესახებ. კომპანია ერთი თვის თავზე გეგმავს ხელშეკრულების მოშლას, რაც წინასწარ გვაცნობა.

მთავრობის მხრიდან კეთდება ყველაფერი, რათა მოიხსნას კითხვები პროექტის შესახებ, მეტიც, ამისათვის მივმართეთ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მედიატორს – ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების დავების განხილვის საბჭოს და მასში ჩართვის მიზნით მოვიწვიეთ ნამახვანის პროექტით დაინტერესებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია და საზოგადოებრივი ჯგუფი. იმედი გვაქვს, რომ პროცესი პოზიციების დაახლოებითა და რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყდება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს პროექტი არის კომპლექსური და ამდენად, ინვესტორები მსგავსი პროექტის განხორციელებისას არაერთ სირთულეს აწყდებიან. თუმცა ისიც ცხადია, რომ პროექტი არ არის მარტივი, მას აქვს ეკოლოგიური, სოციალური და ტექნიკური ხასიათის გამოწვევები და ამდენად, როგორც მთავრობის, ასევე ინვესტორის ვალდებულებაცაა, რომ საჭიროების შემთხვევაში, პროექტში შემავალი ცალკეული მახასიათებლების ხელახალი შესწავლა გაიმართოს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ – ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ ნამახვანი ჰესების კასკადის პროექტი, ასევე ზოგადად ნებისმიერი ინვესტორის ინტერესი, ამიტომ მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ჩვენ აუცილებლად განვაგრძობთ კომუნიკაციას ინვესტორ კომპანიასთან, რათა გამოინახოს სწორი და რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად გამართლებული გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს საინვესტიციო გარემოს არ დაზიანებს და ამავე დროს, პროექტთან დაკავშირებულ ყველა კითხვას საბოლოოდ მოხსნის.

საქართველოს ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ კონკრეტულად ენერგეტიკის მიმართულებით გაგრძელდეს ინვესტიციების მოზიდვა, რათა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა და რაც მთავარია, ენერგეტიკული უსაფრთხოება სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სრულფასოვანი ამუშავება ბაქოს, თბილისსა და ანკარას პრიორიტეტია

აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი ერთობლივ ღონისძიებებს მიმართავენ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სრულფასოვანი ამუშავებისთვის. ამის შესახებ აზერბაიჯანის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მაღალი ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილის რახმან გუმატოვის საქართველოში და თურქეთში ვიზიტების ფარგლებში აღნიშნეს.

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ვიზიტების მიზანი იყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულების პროცესის დათვალიერება, რომლებიც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საქართველოსა და თურქეთის მონაკვეთებზე მიმდინარეობს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან გურამ გურამიშვილთან და თურქეთის სახელმწიფო რკინიგზის ხელმძღვანელებთან შეხვედრებზე აზერბაიჯანელმა მაღალჩინოსანმა ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალზე ტვირთბრუნვის ორგანიზების, მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტის გზების, ახალქალაქსა და ყარსში ტერმინალების მშენებლობის და ამ სატრანზიტო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების საკითხები განიხილეს.

მხარეებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს ამ პროექტის რეალიზების დიდ მნიშვნელობას სამი ქვეყნის ეკონომიკების და სატრანსპორტო დერეფნების განვითარების მიმართულებით.

2007 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ინიციატივით, თბილისში ხელი მოეწერა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის შესახებ შეთანხმებას. რკინიგზა, რომელიც აზიასა და ევროპას შორის ტვირთების პირდაპირ, უსაფრთხო და ეფექტიან გადაზიდვას უზრუნველყოფს, ექსპლუატაციაში 2017 წლის 30 ოქტომბერს შევიდა. მაგისტრალის ამუშავებიდან 2021 წლის ზაფხულამდე პერიოდში ამ რკინიგზით მთლიანობაში 1 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი გადაიზიდა.

საზოგადოებრივი ცენტრი ჩხოროწყუში

იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან გიორგი გუგუჩიასთან ერთად ჩხოროწყუში 87-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა და ახალი ფილიალის მომსახურებითაც ისარგებლა.

რატი ბრეგაძემ, გიორგი გუგუჩიამ და ჩხოროწყუს მერმა დავით გოგუამ ახლადგახსნილ ცენტრში კოვიდ ბარათები აიღეს. კოვიდ ბარათი პიროვნების ვაქცინაციისა და PCR კვლევების შესახებ ყველა მონაცემს შეიცავს და მისი აღება მომხმარებელს მრავალჯერადად შეუძლია. კოვიდ ბარათის აღებასთან ერთად ჩხოროწყუს საზოგადოებრივ ცენტრში კიდევ 200- მდე მომსახურების მიღება ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპით არის შესაძლებელი. ახალი ფილიალი მომხმარებელს მრავალფეროვან სერვისს, გამარტივებულ პროცედურებს და თანამედროვე ინფრასტრუქტურას სთავაზობს. საზოგადოებრივ ცენტრში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკაც განთავსდა, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიც არის დაცული.

აბუ-დაბი, ბარსელონა, ბერლინი და ვენა ქუთაისს დაუკავშირდა

პირველად, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის არსებობის მანძილზე, ახლო აღმოსავლეთში რეგულარული პირდაპირი რეისებით მოხვედრა იქნება შესაძლებელი. 16 დეკემბრიდან, კვირაში 2 სიხშირით აბუ-დაბის მიმართულებით პირდაპირ რეგულარულ რეისებს უნგრული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია Wizz Air Abu Dhabi შეასრულებს.

ზამთრის სანავიგაციო სეზონზე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან პირდაპირი რეგულარული რეისები ასევე, 3 ქალაქის: ბარსელონას, ბერლინისა და ვენის მიმართულებით განახლდება. საქართველოსა და ესპანეთს შორის პირდაპირი რეგულარული რეისები, რომელიც პანდემიის დაწყებისას შეწყდა, ნოემბრიდან, პირველ ეტაპზე, კვირაში ერთი სიხშირით აღდგება.

რაც შეეხება ავსტრიის დედაქალაქს, ვენის მიმართულებით რეისები ნოემბრიდან კვირაში ორი სიხშირით განახლდება. ბერლინში მოხვედრა კი ქუთაისიდან, ზამთრის სანავიგაციო სეზონზე, კვირაში ერთი სიხშირით იქნება შესაძლებელი. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ახალი მიმართულებები და სიხშირეები ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით კვლავ დაემატება.

დემოგრაფიული ვითარება კიდევ უფრო მძიმდება!

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ცნობილ დემოგრაფს, პროფესორ ანზორ თოთაძეს

გურამ გოგიაშვილი: 15 სექტემბერს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა 2021 წლის პირველი ნახევრის (იანვარი-ივნისი) ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები მთლიანად ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით. კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ალბათ, დემოგრაფიული ვითარება უაღრესად დამძიმდა.

ანზორ თოთაძე: დემოგრაფიული ვითარების დამძიმება მსუბუქი ნათქვამია. თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება ეროვნული კატასტროფის ტოლფასია. გასულ, 2020 წელს, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მე-19 საუკუნიდან დაწყებული, რაც დემოგრაფიულ მონაცემთა აღრიცხვა წარმოებს, გარდაცვლილთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა დაბადებულთა რაოდენობას – 4007 კაცით. მიმდინარე წლის ეს მონაცემი, ალბათ, გაორმაგდება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს 2021 წლის პირველ ნახევარში დემოგრაფიული მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუარესება წინა, 2020 წლის პირველ ნახევრის მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, 303 კაცით შემცირდა დაბადებულთა რაოდენობა, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვი – 2373 კაცით გაიზარდა.

2021 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის ბუნებრივი მატება გამოვლინდა მხოლოდ ორ რეგიონში – აჭარასა (717 კაცით) და ქვემო ქართლში (195 კაცით). ყველა დანარჩენ რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღირიცხა – მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. ამასთან, თუ 2020 წლის პირველ ნახევარში თბილისში 1000 კაცამდე მეტი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა, 2021წლის პირველ ნახევარში უკვე ბუნებრივმა კლებამ 675 კაცი შეადგინა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონებში. იმატა განქორწინებების რაოდენობამ, რაც ქართული ოჯახის კრიზისს მოასწავებს და მნიშვნელოვნად ამცირებს დაბადებულთა რიცხვს. უკვე რამდენიმე წელია განქორწინებათა რაოდენობა ქორწინებათა ნახევარს შეადგენს, რაც უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. 2021 წლის პირველ ნახევარში ანალოგიური ვითარებაა შექმნილი – 9163 წყვილი დაქორწინდა და ნახევარზე მეტი – 4675 წყვილის განქორწინდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი ვითარებაა თბილისში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში.

გ. გ. როგორც ჩანს, ასეთი მძიმე ვითარება კარგა ხნის დაწყებლია.

ა. თ. თითქმის 30 წელიწადია უარესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები. მაგრამ განსაკუთრებით უმძიმესი ვითარება შეიქმნა ბოლო ხუთ წელიწადში. კერძოდ, 2015 წელს საქართველოში 59 249 ბავშვი დაიბადა, ხუთი წლის შემდეგ 2020 წელს – 46520 ბავშვი, ანუ ხუთ წელიწადში შობადობა 12729 ბავშვით შემცირდა. ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წლის მეორე ნახევარში ნაკლები ბავშვი იბადება წლის პირველ ნახევართან შედარებით, 2021 წელს 43 ათას ბავშვზე მეტი არ დაიბადება, ანუ 2015 წელთან შედარებით 16249 ბავშვით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ დიდი სამამულო ომის შემდეგ, 1991 წლამდე, წელიწადში საშუალოდ 90-100 ათასი ბავშვი იბადებოდა, 1961 წელს 104 ათასი ბავშვიც კი დაიბადა.

შობადობის ასეთი შემცირება არ უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. საარსებო პირობები კიდევაც რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს, შობადობა ყოველწლიურად მაინც შემცირდება. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი, ჩვენ შეგვიძლია, ეს პროცესი შევანელოთ და სასურველ შედეგს მხოლოდ საკმაო დროის გავლის შემდეგ მივაღწიოთ. საკმარისია ითქვას, რომ 1980-1989 წლებში, ათ წელიწადში, საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო 2000-2009 წლებში, ისევ ათ წელიწადში – 237ათასი გოგონა, ანუ 291 ათასით ნაკლები 1980-1989 წლებთან შედარებით. ცხადია, 237 ათასი გოგონა გაცილებით ნაკლებ ბავშვს დაბადებს, ვიდრე 455 ათასი. შობადობის შემცირებამ პიკს 2020-იანი წლების შუახანებში მიაღწია, რის შესახებაც 10 წელზე მეტია ვსაუბრობთ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად.

გ. გ. იმ პირობებში, როდესაც მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობა მაღალი ტემპებით იზრდება, ქვეყანაში შობადობის კატასტროფული შემცირება რა გავლენას იქონიებს ქვეყნის განვითარებაზე?

ა. თ. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება უაღრესად მაღალია. მაგალითად, 2000-2009 წლებში თურქეთში ბუნებრივმა მატებამ – 120 ათასი, ხოლო საქართველოში 53 ათასი შეადგინა, ისიც ძირითადად არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე. ავტოქტონური მოსახლეობის პერმანენტული შემცირების შემთხვევაში საქართველოს დიდად გაუჭირდება თავისი სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და საერთოდ ეროვნული ამოცანების განხორციელება, საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობას, ადრინდელ მიმზიდველობას დაკარგავს ჩვენი ერისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი ხდება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის გენოფონდის ცვლილება. ყოველივე ეს კი განსაკუთრებით საშიშია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც საკმაოდ მრავალია სხვადასხვა ქვეყნის ინტერესთა გადაკვეთის წერტილები და, ამდენად, გაძნელებულია საკუთარი ინტერესების დაცვა.

გ. გ. რა ზომით მოქმედებს კორონავირუსის პანდემია დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებზე?

ა. თ. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დადასტურდა 2020 წლის 26 თებერვალს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ჯერჯერობით კორონავირუსის შესახებ მონაცემები დაამუშავა 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, რომლის თანახმად, ინფიცირებულთა მთელი რაოდენობიდან (367 ათასი კაცი) 5327 კაცი გარდაიცვალა. ამასთან, თუ ვირუსის დადასტურებული შემთხვევების 58 პროცენტი ქალებზე, ხოლო 42 პროცენტი მამაკაცებზე მოდიოდა, სქესის მიხედვით გარდაცვლილების 52,3 პროცენტს მამაკაცები და 47,.7 პროცენტს ქალები შეადგენენ. როგორც ჩანს, გარდაცვლილი მამაკაცების მეტ პროცენტს სერიოზული სხვადასხვა თანმხლები ქრონიკული დაავადება აღენიშნებოდათ.

გ. გ. ხომ ვერ დაგვისახელებდით ფაქტორებს, რომლებიც ფსიქიკურად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მათ მენტალიტეტზე?

ა. თ. ერთხელ ჩვენი ცნობილი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესისთვის უთქვამთ: ნაციონალებს ახალი ქართველის აღზრდა, ჩვენი გადაკეთება უნდათო. ბატონ ოთარს მიუგია: რა გვჭირს მაგ ხელახლა გასაკეთებლების გადასაკეთებელიო. მართლაც, რა გვჭირს ქართველებს იმისი, რომ ეს სამარცხვინო შიფერდაცურებულები ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე, შალვა ნათელაშვილი, ტორღიალა გიგი უგულავა, ლევან ხაბეიშვილი, ნიკანორ მელია და სხვები და სხვები, ან ჩვენი ქალბატონები ელენე ხოშტარია, რომელიც ხან საღებავებს ასხამს კედლებზე, ხან უსტვენს (ისე ესენი ყველა უსტვენს), თინა ბოკუჩავა, ანა დოლიძე (ამ ლამაზი შესახედაობის ქალბატონს სახეც კი შეეცვალა ბოღმისგან), ძალიან სერიოზული სალომე სამადაშვილი და ბევრიც სხვა მეტად აგრესიული და თავგზააბნეული ქალბატონები ჭკუას გვარიგებდნენ, ან ეს ჩვენი ჟურნალისტები, რომელთაგან ზოგიერთ მათგანს პენისისთვის ხელი არ გაუშვია, ასე უდიერად ეპყრობიან თავიანთ თანამოქალაქეებს. ეს იმის ბრალია, რომ ყოფილ პრეზიდენტს საფლავში მიჰყვებიან. იმ პრეზიდენტს, რომელმაც არ მოასვენა ჩვენი ქვეყანა და ახლაც, თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით დიდ ზიანს აყენებს მას. მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ. ორიოდე დღის წინ ამ უსამშობლოო კაცმა უკრაინიდან დაგვმოძღვრა: 1000 ლარი მაინც უნდა იყოს პენსიაო. რადგან ტარანი თვლით არის, ჩვენც უბრალო არითმეტიკული გაანგარიშება გავაკეთოთ. ამჟამად საქართველოში 800 ათასამდე პენსიონერია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად გასაცემი თანხა 800 მილიონს აღწევს, ხოლო წელიწადში 9 მილიარდ 600 მილიონს. უახლოეს ხანში საპენსიო ასაკს მიღწეული 200 ათასი ემიგრანტი მაინც დაბრუნდება საქართველოში, კერძოდ ისინი, რომლებიც 20-25 წლის წინათ წავიდნენ ემიგრაციაში და ახლა უკვე საპენსიო ასაკს მიაღწიეს (ძირითადად ქალები, რომლებიც ძიძებად მუშაობენ და სხვ.). ეს თანხა კიდევ 2 მილიარდ 400 მილიონს უდრის. მხედველობაში უნდა მივიღოთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად გაწეული საკმაოდ დიდი რაოდენობით ფულადი რესურსები, ასე რომ, მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი არ ეყოფა მხოლოდ პენსიებისა და დახმარების სახით გასაცემ თანხას.

გ. გ. ბატონო ანზორ, ახლახან, 20 სექტემბერს 82 წელსაც გადააბიჯეთ. გილოცავთ. მიუხედავად ამისა, მეცნიერული აზროვნების ნიჭი და უნარი არ დაგკლებიათ. სულ მალე თქვენს ახალ წიგნსაც იხილავს მკითხველი. ბოლო წლებში თქვენ რამდენიმე წიგნი გამოეცით, დემოგრაფიულ პუბლიცისტიკაშიც ნაყოფიერად მოღვაწეობთ. ეს კი ფინანსურად დღევანდელ ჩვენს ყოფით ვითარებაში ადვილი არ არის.

ა. თ. სამწუხაროდ, მართლაც, ფინანსურად უაღრესად გაძნელდა მეცნიერული წიგნების გამოცემა. ბედნიერება მხვდა წილად, რომ ათ წელზე მეტია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამაარსებელი და კანცლერი ბატონი ვახტანგ წივწივაძე გავიცანი, რომელიც ბევრი ეროვნული საქმის მოთავეც არის და გვერდში მდგომიც. თავისი შესაძლებლობის ფარგლებში

იგი მე-19 საუკუნის დიდი მეცენატების მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ძველი ბერძენი ფილოსოფოსის დემოკრიტეს ბრძნულ გამონათქვამს ამართლებს: „ქველმოქმედი ის კი არ არის, ვისაც სარგებლობა აგულისყურებს, არამედ ის, ვინც უანგაროდ მოქმედებს“. თუ რამ შევძელი საქართველოს მეტად მძიმე დემოგრაფიული ვითარების შესწავლისა და მკითხველამდე მიტანის საქმეში, გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა, ბატონ ვახტანგ წივწივაძის დამსახურებაა.

გ. გ. გმადლობთ, ბატონო ანზორ, ინტერვიუსთვის. გისურვებთ მომავალ წარმატებებს.

ვედრება უფლისადმი

გაერომ 2050 წლისთვის ქართველობა მოეკვდავ ერად გამოგვაცხადა

კარს კვლავ მოგვდგომია თემურ-ლენგი,
სასწორზე დადებულა ქვეყნის ბედი:
განგაშის დავარისხოთ დედო ზარი:
„არიქა, ქართველებო, ვიღუპებით!
ეს რა გაიგონეს ყურთა ჩემთა!
ეს რა წაიკითხეს თვალთა ჩემთა!
ამ წყევლას აგვარიდებს უფალი და,
სულ იქნება ჩვენთან, მხოლოდ ჩვენთან!
ხელებაპყრობილი გევედრები,
უფალო, გადააფარე შენი კალთა;
ასობით კი არა, ათასწლობით
ქართველს უნანავე სასთუმალთან!
მიეც ნიჭი გამრავლება-გადარჩენის!
თუ დაეცეს, „წამოდექი“ – შეუძახე!
მუხლმოდრეკილი გევედრები,
ენა და მამული შეუნახე!
ჩვენ წავალთ, ვის დარჩება საქართველო,
თავისი თვალხატულა მთა-გორებით?
ჩვენს ტკივილს შეინახავს ეს ჰაერი,
ეს მიწა - ჩვენს უჩინარ ნაფეხურებს...
ნუთუ ჩვენი აღარ იქნება მტკვარი და რიონი,
ხერთვისი, შატილი თუ ალავერდი?..
ქართულად აღარ იუღერებს: „მობრძანდით, ბატონო“,
ანდა: „ასე ტკბილად დამიბერდი“?..
ნუთუ ჩვენი თვალხატულა ქალ-ვაჟების
საუკუნეებში განფენილი თაობები
მტერს დიდგორულად და
მოყვარეს მოყვრულად
აღარ დახვდებიან თავდადებით?!
უფალო, გადმოგვაფარე შენი კალთა,
მოგვფინე მზის სხივები საალერსო;
სანამ იარსებებს მოდგმა კაცთა,
ჩემი ქართველობაც აარსებე!
ამ მიწაზე სულ გალობდნენ „იავ-ნანას“,
აკვნები ითლებოდეს დასარწევი;
არ დაილიოს ჩვენი ჯიშ-ჯილაგი,
რაც უნდა გაილიოს ათასწლეები!
კარს სხვა მოგვხვდომია თემურ-ლენგი,
სასწორზე დადებულა ქართველთ ბედი;
განგაშის დავარისხოთ დედო ზარი:
„ჭკუით, ქართველებო!“ – ჭაბუამ, ბრძანა:
„არიქა, ქართველებო, გადავშენდით“?
თუ ჭკუით ვიქნებით, – გადავრჩებით!

უჩა გოგოლაური

ქ. ბორჯომი. ტ. 571.911 190

P. S. ამ ლექსის წამკითხველო ქართველებო! საქართველოში დიდი ხანია სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა. ახალგაზრდა ცოტაშვილიანო ოჯახებო! ჩვენს სამეზობლოში დატრიალებულ ერთ ტრაგიკულ ისტორიულ ფაქტს გაგახსენებთ: როცა ამ ორი ათეული წლის წინ რუსეთ-ჩეჩნეთის უთანასწორო ომში დაბომბვების შედეგად 50 ათასი ჩეჩენი ბავშვი დაიღუპა, ჩეჩნებმა დაიფიცეს: არც ერთ ჩეჩნურ ოჯახს არ უნდა ეყოლა 5-6 ბავშვზე ნაკლები!

ფიცი შეასრულეს! მიწის პირისაგან აღგვილი გროზნო დამპყრობელმა რუსეთმა კვლავ ახალ, აყვავებულ, მრავალსართულიანი კორპუსების ქალაქად აქცია. ტელევიზიით ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ახალგაზრდა ჩეჩენი დედა როგორ უხდიდა მადლობას მთავრობას საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების გამო. ექსტრემისტები და რადიკალები ქვეყნიდან გაიქცნენ. ჩეჩნეთში მშვიდობა დამყარდა და ჩეჩენი პატარა ერი კვლავ გამრავლდა და ახლაც მრავლდება.

ჩვენც, ქართველები, პატარა ერი ვართ და, საუბედუროდ, უფსკრულისკენ მივექანებით. ფიცი და რწმენა ცხოვრებაში უმთავრესია. ქართულ ოჯახებშიც ახალგაზრდა მეუღლეებმა ერთმანეთს და ღმერთს უნდა შეჰფიცონ, რომ მრავალ შვილს იყოლიებენ. მთავრობაც გონს უნდა მოეგოს, რომ მრავალშვილიანებს სოციალური დახმარება მხოლოდ არსებობის საკმარისი კი არ მისცეს, არამედ – ცხოვრების საკმარისიც! (ე.ი. ეს თანხა 2-3-ჯერ უნდა გაიზარდოს!). ამ საქმეში უნდა ჩააბან ჩვენთან მომრავლებული მილიონერები.

გამრავლება ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზაა! რუსეთთანაც უნდა გადავდგათ სადიალოგო ნაბიჯები. ჯერ მიწასთან გასწორებული ჩეჩნეთი შეურიგდა რუსეთს, ჩვენც უნდა მოვარჯულოთ „ოკუპანტი“ ქვეყანა. დიალოგს ალტერნატივა არა აქვს!

ერთ მტკივნეულ საკითხსაც უნდა შევეხო: არჩევნები კარს მოგვადგა და წაგვლეკა ტელევიზიებიდან წამოსულმა სიძულვილის ნიაღვარმა. გონს მოეგეთ! არსად და არავისთან სიძულვილს არ გაუმარჯვია. იმარჯვებს მხოლოდ სიყვარული, სიყვარული კი ღმერთია!

გონივრულ გზაზე დავდგეთ და უფალიც შეგვეწევა! ჩვენ გავიმარჯვებთ! პანდემიასაც დავამარცხებთ! ჩვენ გადავრჩებით!

უ. გ.

„ძმავ, ინგორუყო“...

ნინო ვახანია

„ძალი ღმერთისაი სადაცა დაადგრეს“

პავლე ინგოროყვა მხატვრულ სივრცეში

კრებული „ახალი ელეაზარი“ (პავლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვაში) 2018 წელს გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ. შემდგენელ-რედაქტორი როსტომ ჩხეიძე – გვამცნობს წარწერა.

თითქმის ყოველ მხატვრულ ტექსტს (ლექსსა თუ პროზაულ ნიმუშს) ახლავს რედაქტორის მინაწერი. ჩვეულებრივ, ყოველგვარი მინაწერი, სქოლიო, კომენტარი, დანართი თუ სხვა მისთანანი მხატვრულ ნაწარმოებში (მთავარ ტექსტში) ნახსენები ან ნაგულისხმევი ამა თუ იმ რეალიის ახსნას, განმარტებას, ლიტერატურულ-კულტურული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონის აღდგენას ან მკითხველისთვის სხვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. რაც უფრო საფუძვლიანად და ღრმად არის ჩახედული რედაქტორი სამწერლო ცხოვრებაში, რაც უფრო განათლებული და იმავე დროს პატიოსანია, მითუფრო სრული, საინტერესო, დამაფიქრებელი, მრავლისმთქმელი იქნება მისი კომენტარებიც.

არავისთვის გასაკვირი არ არის, რომ ბატონი როსტომი საქმის არსს გულისგულში წვდება, სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის ოფიციალურ, სანდო წყაროებზე დაყრდნობით, არც კულუარულ ამბებს ივიწყებს. უფრო საგულისხმო კი ის მგონია, რომ ეს მინაწერები, გარდა საკუთრივ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობების მოწოდებისა, ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური თხრობის ნიმუში.



„კრებულის კომპოზიციურ აღნაგობას“, როგორც თვითონ ბრძანებს რედაქტორი წინათქმაში, სწორედ რომ ეს საოცარი მინაწერები ქმნის.

ხედვის რელიეფურობას, გარდა ოსტატობისა, დიდი გრძნობაც განაპირობებს. ყველა წიგნიერი ქართველისთვის ცნობილია ბატონი როსტომის მოწიწება და თაყვანება პავლე ინგოროყვას პიროვნებისა და ღვაწლისადმი. ბევრზე ბევრი გამოქვეყნებული წერილი, ზეპირად წარმოთქმული სიტყვა, ინტერვიუ, საღამო, შეხვედრა, ვრცელი ბიოგრაფიული რომანი „ბედი პავლე ინგოროყვასი“, მეცნიერის მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა (ხელნაწერების წიგნებად გამოცემა, ერთხელ დაბეჭდილის ხელახლა დასტამბვა, ტომების შევსება...), კიდევ არაერთი რამ ამტკიცებს როსტომ ჩხეიძის დიდ, დაუოკებელ სურვილს, მთელმა ქვეყანამ ისე გაიცნოს, ისე შეხედოს პავლე ინგოროყვას, როგორც თვითონ უყურებს – ძველი, დიდებული, ძლიერი, ერთიანი, მსოფლიო პროცესების კანონმდებელი სახელმწიფოს სახედ რომ წარმოუდგენია და გაუსიმბოლოებია.

თუნდაც პირველივე მინაწერი რედაქტორისა, პაოლო იაშვილის ლექსს „პავლე ინგოროყვას“ რომ ერთვის, წარმოაჩენს, როგორ მოკლედ, დაწნეხილად, დაწურულად გადმოგვცემს კომენტარების ავტორი ფართო, მრავალშრიან ინფორმაციას, მათ შორის გვაცნობს გვარის – ინგოროყვა – წარმოშობის გასარკვევად წარმოებულ კვლევათა დასკვნებს. დაწერილია თავშეკავებული, ლაპიდარული სტილითა და კილოთი, რაც შეშვენის ამ ტიპის დანართს და მაინც სტრიქონებს შორის ხელშესახებად გამოსჭვივის ავტორ-რედაქტორის მღელვარე, მგზნებარე დამოკიდებულება ყოველი, თუნდ წვრილმანი საკითხისადმი, რომელიც კი მის სულიერ წინაპარს რამენაირად უკავშირდება.

ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ ვრცლადა აქვს მოთხრობილი მწერალს ახალგაზრდა კაცის მიერ სიყვარულის გამო და სიყვარულის სახელით ჩადენილი რომანტიკული თუ გმირული, თუ ერთგვარად განუსჯელი ქმედებების შესახებ, თუმცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსზე დართული მინაწერი კიდევ სხვა ხიბლით გადაგვიშლის ამ შერქმეული სახელის – ახალი ელეაზარი – ძალმოსილებას.

აკი კრებულს სათაურად ყველაზე უკეთ ეს შესიტყვება მოერგო. და არამარტო იმიტომ, თვითონ თითქმის მკვდარი ჭაბუკი ღვთის ხელით რომ ისევ გაცოცხლდა ბიბლიური ლაზარესავით, არამედ იმიტომაც, რომ ისევ ღვთის ნებით, რასაც კი მისი ხელი და კალამი შეეხებოდა, დიდი ხნის დავიწყებული და დამარხულ-დასამარებული, ისევ ცოცხლდებოდა და ახალი ძალით იწყებდა ნათებას.

პავლე ინგოროყვა თავისი მტკიცე, შეუვალი ლოგიკით, არგუმენტებით, მაგალითებით განმტკიცებული, ჩამთრევი მსჯელობით იმორჩილებს მკითხველის გულსა და გონებას. თავდადებული მუშაობის საფასურად ხშირად გაკილვას, გაბიაბრუებას, გააფთრებულ თავდასხმებს ან სრულ იგნორირებას იღებდა. ნების რა სიმტკიცე, რამხელა გული, რკინის ნერვები, საკუთარი სიმართლის რწმენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ კვლავაც დინჯად, აუმღვრევლად, დარბაისლურად განაგრძოს მეცნიერული ძიებებიცა და საქართველოს სიყვარულიც.

ქართველთა ცივილიზაციის ისტორიის ათვლა ხეთური სამყაროდან დაიწყო... უძველესი ფესვები მოჩხრიკა და დაგვანახა. ლიტერატურის ისტორია თავისებურად, არაორდინარულად გაიაზრა (მის მიერ მიგნებულმა მოდელმა ბიძგი მისცა ბატონ როსტომს, მნიშვნელოვანი წიგნის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ შესაქმნელად). ლიტერატურისა და ისტორიის კვლევა კვლევად, პოლიტიკური მოღვაწეობა ცალკე, პოეტობა და პოეტური სულის შენარჩუნება სამეცნიერო ნაშრომებში – ესეც აღსანიშნავია და ყველაფერთან ერთად უძველესი ქართული მუსიკალური **ნიშნების ამოცნობა-გაშიფრვაც მან და მხოლოდ მან შეძლო. ეს აღმოჩენა მალევე აღიარა მსოფლიომ.**

წარმოუდგენელია ერთი ადამიანისგან, მაგრამ, როგორც გიორგი მერჩულე ამბობს, „ძალი ღმრთისაი სადაცა დაადგრეს, ყოველსავე აღასრულებს უფროის ბუნებისა და ცნობისა კაცობრივისა“.

საუკუნეთა სიღრმეში ისე იკვლევდა გზას, თითქოს თვითონაც იმ დროში ეცხოვროს, ხეთების თანამედროვე ყოფილიყოს, მერჩულისაც, ჰიმნოგრაფების, ჩახრუხაძისა და რუსთაველისაც, ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა... მერე უდიდეს აღმოჩენებს ისე ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა, რომ ნაკლებწიგნიერთათვისაც კი ყველაფერი ნათელი და ლოგიკური ჩანდა, თან საინტერესო და მოუწყინრად საკითხავი (მხოლოდ უკეთურნი ებრძოდნენ არალიტერატურული პოზიციებიდან და სრულიად შეუწყნარებელი, არაეთიკური ხერხებით).

პავლე ინგოროყვას ტომეულების თითოეული წიგნი იმხელაა, „ცხენიანი კაცი რომ ვერ გადაახტება“. კიდევ უფრო ფართო და დიდია ამ ნაწერების შინაგანი სივრცე – თავისუფალი აზრით განათებული. „გიორგი მერჩულეს“ ციხე-სიმაგრეს ადარებდა თურმე გრიგოლ რობაქიძე. აფსუს, როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო ჩვენი უახლესი ისტორია, იმ ციხე-სიმაგრისთვის თავის დროზეევ რომ მოგვევლო და უპატრონოდ და უმოწყალოდ არ მიგვეტოვებინა.

როსტომ ჩხეიძის მიერ ამ კრებულით (და დაანონსებული მომდევნო წიგნებით) აგებული ციხე-სიმაგრეც შესაფერის-შესატყვისია იმ მკვიდრი შენობისა, პავლე ინგოროყვამ რომ დაგვიტოვა.

ამიტომაა, რომ „ახალ ელეაზარში“ ისტორიის ხმაც ისმის და თანამედროვეობისაც. იმასაც ვხედავთ, ვინ როგორ აფასებდა, რა პრიზმაში გარდატეხდა, მრუდე თუ უტყუარ სარკეში ასახავდა პავლე ინგოროყვას პიროვნებას, მის ნაშრომსა და ნაღვაწს. აშკარაა, რომ გულგრილად ვერავინ უვლიდა გვერდს, რაც, როგორც ჩანს, მეცნიერის ბუნებითა და ხასიათითაც იყო განპირობებული. იმასაც ცხადად ვგრძნობთ, როგორ გვჭირდება დღეს, როგორი ქმედითი შეიძლება იყოს, როგორ შეეხიდება ჩვენს სამომავლო რწმენასა და განწყობებს პავლე ინგოროყვას მიერ შექმნილი ქართული ცივილიზაციის ისტორია, რომლის ცალკეული ნაწილებიც იქნებ მთლად მივიწყებულადაც არ მივიჩნიოთ, მაგრამ არც იმ დიდებულებით ბრწყინავს და გვინათებს, როგორც ენატრება კრებულის რედაქტორს. რაღა რედაქტორს, თამამად შეიძლება ითქვას – ავტორს.

„ძმავ ინგორუყო! პოეტო ადრეო“, – მიმართავდა პაოლო იაშვილი მეგობარს. როსტომ ჩხეიძის დაკვირვებით, თუმცა ლექსების წერა მიატოვა პავლე ინგოროყვამ, მაგრამ პოეტური სული და რომანტიკული მგზნებარება ბოლომდე შეინარჩუნა მეცნიერულ გამოკვლევებშიც. მართლაც, „რუსთველიანა“ და მისი სხვა რუსთველოლოგიური თხზულებანი, რომელნიც 2016 წელს ცალკე, ოთხ ტომად გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, განგვიმტკიცებს ამ მსჯელობის სიზუსტისა და უტყუარობის განცდას. ვალერიან გაფრინდაშვილიც ჭვრეტდა თურმე ამ გამოკვლევებში „ჰარმონიულ სინთეზს პოეტური და მეცნიერული აზროვნებისა“.

ვიქტორ გაბესკირია პავლე ინგოროყვას კომენტარებს მოიხსენიებდა, როგორც ღრმა ცოდნითა და პოეტური ალღოთი განმსჭვალულს. იმავეს თქმა ზუსტად, უმეტნაკლებოდ შეიძლება როსტომ ჩხეიძის მინაწერებზეც, რომელთა გარეშეც მხატვრული თხზულებების ხიბლს კი შევიგრძნობდით, მაგრამ სრულყოფილად – ვერა, ბევრი საგულისხმო რეალია დაგვრჩებოდა გაუთვალისწინებელი.

იხ. 8 გვ.

უნიკალური კოლექციების დაცვისა და უსაფრთხოებისთვის

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მუზეუმის – საქართველოს ხელოვნების სასახლის განვითარების მიზნით, 400 კვ/მ-ზე მეტი ფართობის ისტორიული შენობა შეიძინა“, – ამის შესახებ ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ახალი შენობა საქართველოს ხელოვნების სასახლის მომიჯნავედ მდებარეობს. მასში განთავსდება საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ის კოლექციები, რომლებიც 2 წლის წინ ხელოვნების სასახლეს გადაეცა, მაგრამ მათი შენახვისათვის დღემდე სპეციალური და უსაფრთხო სივრცე არ არსებობდა. კოლექციებს შორისაა ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაში 1911 წლიდან არსებული უნიკალური ქსოვილის, ასევე ვერცხლის ფონდები.

„სწორედ უნიკალური კოლექციების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კულტურის სამინისტრომ სწრაფი რეაგირება მოახდინა ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელის, გიორგი კალანდიას შუამდგომლობაზე და სახელმწიფოს სახელით კერძო პირისგან შეიძინა ისტორიული ნაგებობა, რომელიც მე-19 საუკუნეში ხელოვნების სასახლის (გრაფ ოლდენბურგის რეზიდენციის) ნაწილს წარმოადგენდა.

შენობის შესაძენად თანხა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2021 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან, კერძოდ კი – „კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის პროგრამიდან“ იქნა გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2021 წლის 16 აგვისტოს გაცემული დასკვნის თანახმად, აღნიშნული შენობა შეფასებულია 410 000 აშშ დოლარად, ხოლო შენობის მესაკუთრესთან მოლაპარაკების შედეგად, მისი შეძენისას გადახდილ იქნა საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა.

შეძენილი შენობა მუზეუმის შესაბამისი კოლექციების დასაბინავებლად და საცავად იქნება გამოყენებული. 2022 წლიდან კი დაგეგმილია მისი რეაბილიტაცია და სრულფასოვან სამუზეუმო სივრცედ ჩამოყალიბება“...

პირველი არხის თანადაფინანსებული ფილმები ბათუმის ფესტივალზე

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე (Biaff) საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადაფინანსებით შექმნილი სამი ფილმი იქნება წარდგენილი.

Biaff-ზე წარდგენილ ნამუშევრებს შორისაა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ნომერი 26“, რომლის პროექტიც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის 2019 წლის კონკურსის გამარჯვებულია და კინოცენტრისა და პირველი არხის თანადაფინანსებით შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებული შვიდი მოკლემეტრაჟიანი ფილმი დააფინანსა. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი გვანცა მეფარიშვილია.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე ასევე წარდგენილია პირველი არხისა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის „დებიუტი“ ფარგლებში შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმები „სამზადისი“ (რეჟისორი: ილია ასიტაშვილი) და „თანაგრძნობა“ (რეჟისორი: ზვიად ციკოლია).

Biaff-ის ინდუსტრიულ პლატფორმაზე „ალტერნატიული ტალღა“ პირველი არხის ახალი პროექტის „ტელედოკი“ პრეზენტაცია გაიმართება. პროექტი გულისხმობს ყოველკვირეულ ნახევარსაათიან დოკუმენტურ ჩანახატებს ადამიანებზე, რომლებიც აქტუალურ და საინტერესო საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიკურ ან/და სოციალურ ცხოვრებაში არიან ჩართულები.

„ძალი ღმერთისაი სადაცა დაადგრეს“

(მეშვიდე გვერდიდან)

– შენს პავლეზე ვაპირებ ლექსის დაწერასო, – უთქვამს მამუკა წიკლაურს ბატონი როსტომისთვის, რომელსაც პავლე ინგოროყვას სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდაზე ეგულება და, მგონი, ყველა გონიერი ქართველი მას ამაში ეთანხმება. რა სითბოს, სიყვარულს, აღიარებას, სულიერ სიახლოვესა და თანაზიარობას გულისხმობს ეს განსაზღვრება: „შენს პავლეზე...“ ეს იმ სულიერი მემკვიდრეობითობის გამოხატულებაა, რომელიც დღეს მრავალთათვის არის საცნობი და რომლის შესახებაც პირდაპირ და არაორაზროვნადაა გაცხადებული ელგუჯა მარღიას ერთ რობაიში.

– ფული რომანტიკული ყვავილია, იცოდეთ, როგორც ჩვენი ბებერი ფალავანი იძახის, – ეს ვახტანგ ჯავახაძეა. ვინ არის ჩვენი ბებერი ფალავანი? კვლევა არ დაგვჭირდება. როსტომ ჩხეიძე იქვე (მინაწერში) გვამცნობს – ამ სიტყვებში პავლე ინგოროყვას გულისხმობს პოეტი. ასეთი საგულისხმო რეალიებით სავსეა მთელი წიგნი.

გიორგი ლეონიძის ნოველის პერსონაჟს, საქართველოზე, მის წარსულზე უზომოდ შეყვარებულ ჩორეხს რომ აშკარადა აქვს გამოხატული პავლე ინგოროყვას სული და ხასიათი, ამასაც როსტომ ჩხეიძემ მიაქცია ყურადღება და თუნდაც სხვა ვინმესაც გვაგონებდეს ჩორეხი, ეს მიგნება მაინც ფასდაუდებელია. ახლა ადვილია პერსონაჟის სახეში რომელიმე კონკრეტული პიროვნების დანახვა – ვისაც პირადად იცნობდა ავტორი ან არც იცნობდა, ვთქვათ, ბევრად ადრე დაბადებულის ან უფრო გვიან გაჩენილის. თუმცა მთავარი ნათქვამია – ჩორეხი განზოგადებული სახეა პავლე ინგოროყვასნაირი კაცებისა (სადღა არიან, თორემ...) და უშუალოდ კი თვითონ პავლე ინგოროყვაა მხატვრულად გარდასახული, თუნდაც „ნატვრის ხის“ ავტორს ასე არც ჩაეფიქრებინოს.

კონსტანტინე გამსახურდიამ გააშარჟა, მრუდე სარკეში ასახა, არც გმირად წარმოაჩინა და არც რომანტიკულ პიროვნებად. ვიღას ახსოვს ახლა „ბელადი“? ვინ კითხულობს? შეიძლებოდა სულაც ამოკლებულიყო კრებულიდან, მაგრამ როცა შემდგენელი იმ ზნეობისა და წესიერების მიმდევარია, რომლითაც თვითონ პავლე ინგოროყვას ნაწერები (და ცხოვრებაა) აღბეჭდილი, რამეს შეგნებულად გამოტოვება და გვერდის ავლა რა სათქმელია!. იცოდეს მკითხველმა მიხა ქილიფთარის, „ბელადის“ ამ პერსონაჟის, არსებობაც. ბოლოს და ბოლოს ნაწარმოები მკითხველისთვის იწერება და თითოეულის ინტერპრეტაციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული...

ერთიანობაში კი „ახალ ელეაზარში“ შესული ოცდათოთხმეტი ავტორის გაცილებით მეტი პოეტური და პროზაული თხზულება ჩვენს სინამდვილეში მცხოვრებ სრულიად რეალურ და ამავე დროს არარეალურ, ლეგენდურ პიროვნებას ხატავს, ღვთაებრივ შუქში გახვეულს, შეუძლებლის შემძლეს...

* * *

1983 წლის ნოემბრის ერთ დღეს ორი ახალგაზრდა ქაშუეთის ზარების რეკვით ამცნობდა საქართველოს მისი უდიდესი ჭირისუფლისა და ერთი საუკეთესო შვილის ხორციელად განსვლას ამქვეყნიდან. ახლაც ისმის ზარების ეს ხმა – გუგუნი, ჟღრიალი, წკრიალი – უკვე არამხოლოდ განდობილთა, არამედ ყველას გასაგონად და იმეორებს პავლე ინგოროყვასა და ამ სახელის გარშემო გაერთიანებული ადამიანების ანდერძს, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურიდან ღრმად აღბეჭდილს ჩვენს სულზე: „მოუარეთ საქართველოს!“

ნინო ვახანია

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი -

მე-4 საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“

მე-4 საერთაშორისო კონფერენციის „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“ თბილისში, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარება დაიგეგმა ამავე სახელწოდების წინა კონფერენციაზე 2018 წელის ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ინსტიტუტმა წარადგინა განაცხადი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და კონფერენციის ჩატარება დაფინანსებული იქნა 2020 წლისთვის. კოვიდ-19-ით გამოწვეული შეზღუდვების გამო მისი ჩატარების თარიღი ორჯერ შეიცვალა, და ბოლოს, 2021 წლის 20-21 სექტემბერს ჩატარდა ჰიბრიდულ რეჟიმში.

მიუხედავად ასეთი ფორსმაჟორული ვითარებისა კონფერენციისადმი საერთაშორისო დაინტერესება არ შემცირებულა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველი შეტყობინების შემდეგ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს რვა ქვეყნის (ავსტრალია, გერმანია, აშშ, ისრაელი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, საქართველო) ცნობილი მეცნიერული ცენტრების მეცნიერებმა. კონფერენციაზე წარდგენილი იქნა 60 ნაშრომი. პლენარულ სხდომებზე მოისმინეს 28 მოხსენება.

მე-4 კონფერენციაზე გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური მიმართულებები:

- **სალი, ცეცხლგამძლე, ნახევრადგამტარული, კოროზიამედეგი და სხვა სპეციალური თვისებების მქონე ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები, უპირატესად თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის გამოყენებით;**
- **მასალების სტრუქტურული, ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების კვლევის მეთოდები;**
- **ტექნოლოგიური პროცესების - დნობის, ელექტროგლინვის, ქიმიური სინთეზის მოდელირება;**
- **ზეგამტარული მასალების მიღების მეთოდები და ფიზიკური თვისებების კვლევა.**

კონფერენციის მონაწილეები მადლობას უხდიან კონფერენციის მასპინძელი ორგანიზაციის – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას კონფერენციის წარმატებულად ჩატარებისათვის.

კონფერენციის მონაწილეები თანხმდებიან, რომ რიგით მე-5 კონფერენცია ამ სფეროში ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდეს 2024 წელს.

◎ რაგბის კავშირში

ნდობა „ბორჯღალოსნებს“

საქართველოს **რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სრკ-ის პრეზიდენტის — იოსებ ტყემალაძის წარდგინებითა და ახლადარჩეული გამგეობის პირველი სხდომის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით რეკორდსმენი „ბორჯღალოსანი“ (121 მატჩი ეროვნულ ნაკრებში და ცენტურიონის სახელი) და პარლამენტის დეპუტატი დავით კაჭარავა გახდა.**

სხდომაზე დაამტკიცეს აგრეთვე სადისციპლინო სააპელაციო კომისიის წევრები და ანტიკორუფციული რეგულაციები, განიხილეს როგორც ცვლილებები თამაშის წესებში, ისე კლუბებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. გადაწყდა ისიც, რომ სრკ-ის პრეზიდენტის თხოვნით, ქვეყნის ნაკრებთან ურთიერთობას ამიერიდან ქართული რაგბის მოვლენა **მამუკა გორგოძე** გაუძღვება, რომელიც ასევე გამგეობის წევრია.

◎ მხარე

ხმელიძის ვარსკვლავი

რუსთავის **ცენტრალურ პარკში კალათბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოთარ ხმელიძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. საზეიმო ღონისძიებას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, სპორტსმენები, ოჯახის წევრები და სხვა მიწვეული სტუმრები დაესწრნენ ოთარ ხმელიძის ვარსკვლავის გახსნაზე იმყოფებოდნენ ვეტერანი კალათბურთელი გივი ბიჭიაშვილი და კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალეკო პეტრიაშვილი.**

ღონისძიების მონაწილეებმა ოთარ ხმელიძეს ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

„როდესაც ვსაუბრობთ კალათბურთზე, რუსთავში იგი ასოცირდება ოთარ ხმელიძესთან. ის არის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელმაც რუსთავში შექმნა კალათბურთის სამყარო, ადამიანი, რომელმაც ბევრი თაობა აღზარდა, აღზარდა არა მხოლოდ კალათბურთელებად და სპორტსმენებად, არამედ კარგ ადამიანებად“, — განაცხადა რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ.

2002 წელს ოთარ ხმელიძეს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ის რამდენჯერმე იყო ქართული „ოლ სტარის“ გუნდის მწვრთნელი, დასახელებულია საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად და მიღებული აქვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სიგელი ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერით. ოთარ ხმელიძე რუსთავის საპატიო მოქალაქეა და დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

◎ აკი ბაშო

მეორე სუნთქვა

უილგლო **სტარტის შემდეგ ტოჩინოშინს მეორე სუნთქვა გაეხსნა, ზედიზედ სამი ბრძოლა მოიგო და აკი ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსს ინარჩუნებს, რაც ქართველ ყოფილ ოძეკს წოდებაში დააწინაურებს.**

მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე დღეს ლევან გორგაძემ ჩიონიო, ტობიზარუ და ტოკოშორიუ დაამარცხა, რის შედეგადაც 5 გამარჯვების წილ 6 წაგება დაუგროვდა.

გუშინ „ტოჩიმ“ მე-17 მაეგაშირა ჩიიონოკუნის ოშიდაშის ილეთით სძლია და საერთო ბალანსი 6-6 გაუხდა!



◎ კორტი

ამჯერად - ესპანელთან

უკვე **გაუწყეთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა** **კარიერაში ზედიზედ მეხუთედ მოიგო საფრანგეთის ქალაქ მეცის ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირის პირველი წრის შეხვედრა, ამჯერად იტალიელ ჯანლუკა მაგერთან — 6:3, 7:6, თანაც საათნახევრიან ბრძოლაში ერთბაშად 11 ეისი შეასრულა.**

ნიკას, რომელმაც 2017 წელს იქაურ კორტზე ნახევარფინალს უწია, მორიგი მეტოქეა რეიტინგის 45-ე ესპანელი ნომერი ალეხანდრო დავიდოვიჩ-ფოკინა.

სანთელი

წყლის რაინდი

ბავშვივით უხაროდა, კოვიდრეგულაციების შემსუბუქების შემდეგ აუზები რომ გაიხსნა და ტაშკენტის ქუჩაზე ცისფერ ბილიკებს აღტაცებული დაუბრუნდა.

დიახ, ჯუმბერ წიკლაურისთვის **წყალბურთი რელიგია გახლდათ, რომელსაც, როგორც ჩაუმქრალი ვარსკვლავების — ნოდარ გვახარიას, გივი ჩიქვანაიას, ლერი გოგოლაძის, ირაკლი ჩხიკვაძისა და ოთარ მიმინოშვილის ღირსეულმა თანაგუნდელმა, სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა.**

სპორტის საყვარელი სახეობის ფანატიკოსმა ჯერ როგორც მოთამაშემ, ხოლო შემდეგ მწვრთნელმა, დიდი წვლილი შეიტანა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების წარმატებებში, რამდენიმე წლის განმავლობაში კი კუვეიტშიც მოღვაწეობდა.

შესანიშნავი ოჯახის თავკაცს ხვალ გულისტკივილით გამოვეთხოვებით დავით გამრეკელის ქუჩის №7-დან.

საფეხბურთო ბოდიკა

ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო მარტინესმა** ჟურნალისტებს მისი „ბარსელონას“ დამრიგებლად დანიშვნის თაობაზე მოარული ხმების თაობაზე უპასუხა.

„რა უნდა ვთქვა? ჭორები ყოველთვის არსებობს და ეს ფეხბურთში ნორმალური მოვლენაა. იგებ თუ აგებ რაღაც მოარული ხმები ყოველთვის ვრცელდება, ამჯერად კი „ბარსელონასთან“ დაკავშირებით სათქმელი არაფერი მაქვს“, — ციტირებს ესპანელი სპეციალისტის სიტყვებს Eurosport.fr.

წინა დღეებში ესპანურ მედიაში გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოს კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა რონალდ კუმანის შემცვლელად მარტინესს მიიჩნევს და მზადაა ბელგიის ნაკრებს მისი კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ 1,8 მილიონი ევრო გადაუხადოს.

* * *

ესპანური პრიმერას მე-6 ტურში მადრიდის „რეალმა“ შინ „მალიორკა“ 6:1 გაანადგურა და გათამაშების ცხრილს ლიდერობს.

მასპინძელთა შემტევმა **კარიმ ბენზემამ** დუბლი გაიფორმა და ორი საგოლე პასი შეასრულა. ამისდაკვალად, ფრანგს ესპანეთის ჩემპიონატში 200 გატანილი ბურთი მოუგროვდა და დიად სამეულს შეუერთდა. 200 და მეტი გოლი „სამეფო კლუბის“ მაისურით მანამდე მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუს (312), რაულსა (228) და ალფრედო დი სტეფანოს (216) გაეტანათ.

მატჩის შემდეგ „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ბენზემას სამახსოვრო მაისურა გადასცა.

* * *

იმავე დღეს მადრიდის „ატლეტიკომ“ „ხეტაფე“ დაამარცხა (1:2), სტუმართა თავდამსხმელმა ლუის სუარესმა კი დუბლი შეასრულა. მან თავი 78-ე და 90+1-ე წუთებზე გამოიჩინა, რითაც კიდევ ერთი სტატისტიკური მიღწევა დაამყარა.

El Pais-ის ცნობით, ახლა ურუგვაელს კარიერის განმავლობაში მატჩების ყოველ წუთზე გაუტანია. აქამდე მხოლოდ 78-ე წუთი გახლდათ ისეთი, რომელზეც მას მეტოქეთა კარი არ დაელაშქრა.

მის გარდა ასეთი მიღწევა დღეს მოთამაშე ფეხბურთელებიდან კრიშტიანუ რონალდუსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს აქვთ. ჯამში სუარესს კარიერის განმავლობაში ყველა ტურნირში 661 მატჩი გაუმართავს, 427 ბურთი გაუტანია და 238 საგოლე პასი შეუსრულებია.

დავით ნაკანი – უანგარო და მოუსყიდველი პროფესიონალი

ღირსეული კაცის გახსენება

10 წელიწადი გავიდა საქართველოში ყველასთვის კარგად ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ჩვენი საყვარელი მეგობრის **დავით ნაკანის** გარდაცვალებიდან. თავის დროზე მტკივნეულად განვიცადეთ მისის უდროო გამოკლება, კიდევ უფრო მწარედ განვიცდით მის გარეშე განვლილ წლებს. ის ხომ ჩვენი მეგობრობის მტკიცე ბურჯი, ჭირსა და ლხინში უღალატო კაცი იყო. დიდ შრომასთან ერთად იგი ითავსებდა ჩვენი ძმური ურთიერთობების დირიჟორისა და მუდმივი შემოქმედის როლს. წავიდა დათო, მას გაჰყვნენ ბევრი სხვები, ჩვენთვის არანაკლებ ძვირფასები და უაღრესად საჭირონი ქვეყნისათვის და საზოგადოებისთვის და ამით გაფერმკრლთალდა ჩვენი ყოფა, შენელდა ჩვენი ურთიერთობების ცეცხლი, თუმცა ერთმანეთი დღესაც ძველებურად გვწამს და გვენატრება. დაგვაკლდა დათო, დაგვაკლდა მისი მუდამ მეძებარი და მოუსვენარი გული, ხასიათი, ზრუნვა იმაზე, რომ როგორმე ერთად ვყოფილიყავით, ერთად გაგვეძლო ამ გაუსაძლისი წუთისოფლის განსაცდელთათვის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს როლი ვერავინ იკისრა, თუმცა ამაში დათოს ბრალეულობაცაა – ათეული წლების მანძილზე ასე მიგვაჩვია, ყველა წვრილმანს თვითონ გეგმავდა და მათ დიდ ნაწილს თვითონვე ასრულებდა. თურმე ამასობაში ყურადღება მოგვიდუნდა, ვერ განვსაზღვრეთ, თუ რა მნიშვნელოვან ტვირთს ეწეოდა ეს დალოცვილი. ზოგადად ქართულ სინამდვილეშიც ხომ ასე მოხდა, წავიდნენ საუკეთესო ადამიანები და მათი ღირსეული შემცვლელები ჯერჯერობით არა ჩანან, ამიტომაც ვართ ამ დღეში.

დათომ ბოლო დროს ამოიჩემა, მათ შორის ხშირად მაშინ, როცა ჩვენი შეკრებების თამადა იყო- ეს გაუმარჯოსო ბოლო დროს წასულებს და დაამატებდა- გეცოდებოდეთ ის, ვინც ჩვენ შორის სულ ბოლოს წავაო. მოხდა ისე, რომ თვითონ პირველი წავიდა და ეს საფიქრალსადარდებელი ანდერძივით დაგვიტოვა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ დათოს მერე წყება -წყება წავიდნენ ჩვენი მეგობრები, მათ შორის ხუთი ისეთი მათგანი, ვინც ხელს აწერდა მის ნეკროლოგს. ალბათ დათოს სულმა ზეცაში იცის, ჩვენ შორის სულ ბოლო ვინ იქნება, ამას ჩვენ ვერასოდეს მივხვდებით, თუმცა ამ წლებმა სხვა რამ გვასწავლა – როცა გამორჩეული ადამიანები მიდიან და მათი ამაგის დაფასების დრო დგება, მაშინ ირკვევა, ხვალ როგორი საქართველო გვექნება. ამას განაპირობებს საყოველთაოდ დამკვიდრებული ტრადიცია, თუ რას ვასწავლით და როგორი მორალური სულისკვეთებით ვზრდით მომავალ თაობას. სანამ წინაპართა ღირსეულ წარმომადგენლებს ან საერთოდ ვივიწყებთ ან უპატივცემულოდ მოვიხსენიებთ, სანამ მათ დანატოვარს მადლიერების ნაცვლად გინება- ძაგებით ვამკობთ, მათზე უკეთესები არ გაიზრდებიან, არ გამოვლენ ასპარეზზე და ქვეყანასაც გვარიანად გაუჭირდება.

არაფერი გენიშნათ?

დავით ნაკანი უანგარო, მოუსყიდველი პროფესიონალი მოხელე და მინისტრი იყო ცხოვრების ყველა ეტაპზე (სოციალიზმის დროს, და პირველ ეროვნულ მთავრობაში) . მას პატივს მიაგებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ალბათ დამეთანხმებით, ასეთი მრწამსის და უნარის ადამიანები დღეს სანთლით საძებარია. ჰოდა, მანამ სანამ ეს ასეა, ჩვენი ქვეყნის გასაჭირს არაფერი ეშველება, რადგან უკუღმართი წესის დამკვიდრება, რითაც ღირსეულებს ვივიწყებთ და უღირსებს ვანებივრებთ, ეს ქართული ტრადიციების ღალატია. ბავშვმაც კი იცის, რომ ჩვენი ქვეყანა დღემდე პატრიოტმა და ერთგულმა ადამიანებმა მოიტანეს. მოღალატეებს არც ბედ-იღბალი წყალობდა არასდროს და არც ღმერთი. დავით ნაკანმა ღირსეულად იცხოვრა და იღვაწა და თქვენ წარმოიდგინეთ, სათანადოდაც დაუფასდა კიდეც. იგი იყო გარემოს დაცვის პირველი მინისტრი (ამ დროს დაფუძნდა), პირველი პროფესიონალი საქართველოს ეროვნულ მთავრობაში, ვინც ხელი მოაწერა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ვინც საფუძველი ჩაუყარა ბუნების დაცვის სფეროში სისტემური მნიშვნელობის რეფორმებს, პირველ გარემოს დაცვის კანონებს, აკრძალვებს, დაშვებებს და ზოგადად ნორმატიულ ბაზას. ყველაზე მეტად მაინც ის ეამაყებოდა, რომ იგი აღმოჩნდა მათ შორის, ვინც ხელი მოაწერა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ეს კი საუკუნოდ დარჩება ისტორიაშიოიტყოდა.

ბევრი ჩვენგანი მას სკოლის მერხიდან იცნობს, შემდეგ ერთად ვიყავით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ყამირ მიწებზე. ინსტიტუტის შემდეგ დისერტაცია ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში დაიცვა. სამეგობრო წრემ, დავით აღმაშენებლის საზოგადოებამ ერთობლივი ძალისხმევით აღვადგინეთ და ავაშენეთ წმინდა ნიკოლოზის სახ. ტაძარი, ჩვენი დედაქალაქის მშვენება დღეს და საუკუნოდ...

არასოდეს, ცხოვრების არცერთ მონაკვეთში დავით ნაკანს არ უღალატია მისი მთავარი მოწოდებისთვის – არ შეერცხვინა და ესახელებინა თავისი წარმომავლობა, ოჯახი და სამშობლო.

დათო ნაკანი მესტიაში დაიბადა, ერთი პატიოსანი და კეთილშობილი ინტელიგენტების ოჯახში. დაუფარავი მედიდურობით იტყოდა ხოლმე, პირველი ზემო სვანი ვარ ისტორიაში, ვინც საქართველოს მთავრობის წევრი გავხდი ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, და პირველი ვაკელი სვანი ვარო (თურმე ნაკანი სვანურად ვაკელს ნიშნავს და იგი ხომ თბილისში, ვაკეში გაიზარდა). მართლაც და გამორჩეული სიყვარულით უყვარდა სვანეთი, სვანები და მათი ადათ-წესები, შვილებსაც ამ სულისკვეთებით ზრდიდა. რა თქმა უნდა, იგი ზოგადი ქართველი, ყველგან და ყოველთვის სულით და გულით საერთო ქართული საქმის მსახური იყო.

მეუღლეც სიყვარულით შეირთო, ბათუმელი გურული ქალი და ამასაც სწორ ნაბიჯად თვლიდა. ახლა მათი შთამომავლობა გამრავლდა, ისინი ბევრნი არიან – ორი ვაჟიშვილი, ოთარი და გიორგი ოჯახის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები, ჰყავთ 5 შვილიშვილი (მათ შორის ერთი დათო ნაკანი), მეუღლე – ნინო იმნაძე, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. დათოს გარდაცვალების შემდეგ დამკვიდრდა ოჯახური ტრადიცია – ყოველ წელიწადს ორჯერ, დავით ნაკანის დაბადების და გარდაცვალების დღეს, ყველანი ვიკრიბებით და ერთად პატივს მივაგებთ მეუღლის, მამის, ბაბუის და მეგობრის ხსოვნას. დღეს უკვე მეოცედ შევიკრიბებით, ალბათ ძალიან ვიწრო წრეში, კვლავ სინანულით, დიდი გულისტკივილით და ცრემლნარევი იუმორით მოვიგონებთ მას. ამ წერილით უბრალო მიზანი გვამოძრავებდა, გვინდოდა საზოგადოებისათვის შეგვეხსენებინა, რომ არსებობდნენ არაჩვეულებრივი კაცები, რომლებმაც შექმნეს ჩვენი საყვარელი და სანაქებო საქართველო, თავისი წილი აგური დაადეს წინაპართა ნაღვაწ-ნაჯაფარს. არც უნაკლოები იყვნენ და არც იდეალურები, მხოლოდ საიმედო და ერთგული ჯარისკაცები. მათ შთამომავლობას აქვს უფლება იგივე, მაგრამ უფრო უკეთესად გაიმეოროს. მათ უნდა შეძლონ და ქნან დიდი ქართული საქმე და ეჭვი არ გვეპარება იზამენ კიდევაც. აკი ამბობს ხალხური ლექსი – „კიდევაც დაიზრდებიანო“... და კარგად მოგეხსენებათ ჩვენმა თაობამ მარაბდაში ამ იმედს როგორი ძეგლი აუგო.

არდავიწყება დავით ნაკანის სახელს და ხსოვნას, მის ოჯახს წინსვლა და მატება, მის სამშობლოს ფეხზე წამოდგომა.

ღმერთმა ასე ქნას!

მეგობრების სახელით:

გია კვერნაძე, ჯული ბუაჩიძე, რამაზ ენუქიძე, ვახტანგ ბერია, ნუგზარ ყავლაშვილი, ზაურ და ალვერდ ჩანქსელიანები, იური სანიკიძე, თენგიზ ცივაძე, გურამ დიდბარიძე, ვალერი გიორგობიანი, გია ბურძგლა, ბაკურ გულუა

გვიყვარხარ, ნინო!

ვისაც ძალიან უნდა მაღლა ასვლა, ის კიბესაც გამოიგონებსო – ძველი იაპონური გამონათქვამია...

ნინო ისედაც მუდამ მაღლა იყო... ძალდაუტანებლად... „უკიბოდ“...

თითქოს „კიბე“ „დაბადებისთანავე“ დაჰყვა...

მისი შარმი, განუმეორებელი ღიმილი, აღმოსავლური გემოვნება, გონება თავისთავად გაიძულებდა, მიგეღო, შეგეყვარებინა, დაგეფასებინა... გეღიარებინა...

ასე ჩუმად, უხმაუროდ მიდიოდა თავისი ბედისწერის კიბეზე...

ასე შემოაღო ჩვენი უნივერსიტეტის კარიც, ჯერ როგორც დოქტორანტურის სტუდენტმა და მერე, როგორც ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა...

მის ხელში, მის ირგვლივ ყველაფერი ჭრელი, ემოციური, ლამაზი და გონიერი ხდებოდა...

მხოლოდ მას შეეძლო, ერთი სიტყვით, ერთი წინადადებით გადაედგა მთები ოჯახის წევრებისთვის, შვილისთვის, სტუდენტებისთვის, კოლეგებისთვის, მეგობრებისთვის...

ისეთი იყო, ყველა და ყველაფერი რომ შეეძლო სიკეთედ ექცია...

ისეთი იყო, მტერსაც რომ მოყვარედ გარდაქმნიდა...

ასეთი ნინო მხოლოდ ჩვენ გვყავდა!

ასეთი ნინო ჩვენი იყო!

ნინო მახარაშვილი-ბარათაშვილი წავიდა ჩვენგან...

მისი ამქვეყნიური გზა დასრულდა...

მაგრამ სიკეთე და ღიმილი, მისი ღიმილი თითქოს ჩვენ შორის დაიფანტა...

უკეთესები გაგვხადა...

მიყვარხართო! ყველანი მიყვარხართო, წერდა ერთ-ერთ ბოლო სოციალურ სტატუსში...

ვუყვარდით, მართლა ვუყვარდით...

ჩვენ ჩვენი წილი სითბო გავატანეთ, მაგრამ უფრო მეტი დაგვიტოვა...

გვიყვარხარ, ნინო...

გვიყვარხარ და ყველგან თან წავიღებთ ამ დიდ სიყვარულს, ამ დიდ ტკივილს, ამ დიდ დარდს...

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორატი, ადმინისტრაცია, სტუდენტები

მარად დაუვიწყარი ჩვენი ელენე კუჭუხიძე

25 სექტემბერს ერთი წელი შესრულდება ქალბატონი ელენე ირიდიონის ასულის გარდაცვალებიდან.

ცნობილი სტრიქონებია: მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელიო. თქვენ ორი ღირსეული ვაჟკაცი დაუტოვეთ სამშობლოს. მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი გემადლიერებათ მშობლიური ამაგის გამო. მათ შორის ვართ ჩვენც — თემურის და თენგიზის მეგობრები, რომლებიც ღვიძლი დედისგან არ განსხვავებდით და თქვენგანაც უშურველად ვიღებდით დედის სითბოს. ნათელი და სანთელი, ძვირფასო ლენა დეიდა. თქვენი სახელი დაუვიწყარია.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, რამაზ ხეცურიანი, ამირან ნიკოლეიშვილი, როლანდ გაბრიჩიძე, მიხეილ სალაძე, ზურაბ ფოჩხუა, ნოდარ გოლოთაშვილი, ნოდარ უჯმაჯურიძე, ვაჟა გენგაშვილი.

კაფე-ბარ „სკარპას“ თაღლითი მფლობელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ტურისტების მიმართ განხორციელებული დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებების ფაქტზე კაფე-ბარ „სკარპას“ მფლობელი დააკავეს.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ტურისტების მიმართ განხორციელებული დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ქურდობის ფაქტზე, 1989 წელს დაბადებული ლ. მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს — თბილისში მდებარე კაფე-ბარ „სკარპას“ მფლობელ ლ.მ.-ს და ამავე კვების ობიექტის თანამშრომლებს, მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან და ტურისტებთან მათ მიერ შეკვეთილი პროდუქციის ნაცვლად იაფფასიანი პროდუქცია მოჰქონდათ, ასევე, მენიუში ცვლიდნენ პროდუქციის ფასებს და კლიენტებს შეკვეთის შეუსაბამო, არარეალურ, დიდ თანხებს ახდევინებდნენ.

მიმდინარე წლის სექტემბერში, კაფე-ბარ „სკარპაში“, ბრალდებულთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ გოგონასთან ერთად იმყოფებოდა ჩინეთის მოქალაქე, რომელიც ალკოჰოლური სასმელის მიღების შემდეგ ცუდად გახდა და გონება დაკარგა. გონზე მოსვლის შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ მისი ანგარიშიდან სამ ეტაპად — 5000-5000 ლარის ოდენობით კაფე-ბარ „სკარპას“ ანგარიშზე გადარიცხული იყო 15000 ლარი.

კომპლექსურმა გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მსგავსი თაღლითური სქემა მოქმედებდა თბილისში მდებარე კლუბ „როიალშიც“. კერძოდ, დადგინდა, რომ ერთ-ერთი მოქალაქე მეგობართან ერთად ბარ „როიალში“ მიიპატიჟა ამავე ბარიდან გამოსულმა ორმა გოგონამ. მამაკაცებმა ბარში ე.წ. მენიუს საშუალებით შეუკვეთეს საკვები და სასმელი. მოგვიანებით, ბარის თანამშრომლებმა მათ რეალური შეკვეთის შეუსაბამო, დიდი თანხის — 1450 ლარის გადახდა მოსთხოვეს და იძულებით გადაახდევინეს.

ტურისტების მიმართ განხორციელებული დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების საქმესთან დაკავშირებით, სხვა გარემოებების გამოკვეთისა და აღნიშნულ ფაქტებთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები“, — ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

გუშინვე, დააკავეს ბარმენი არტუშ სარქისიანი, რომელმაც ტურისტს კაფეში 15 ათასი ლარი გამოსძალა. ის დაწესებულების მეპატრონესთან ერთად ჩინეთის მოქალაქის კუთვნილი ბარათიდან 15 ათას ლარის ქურდობაშია მხილებული.

თელავის საავადმყოფოს დირექტორის მკვლელს 12 წლით გამოკეტავენ!

თელავის რაიონული საავადმყოფოს დირექტორის, ზურაბ საჩიშვილის მკვლელობაში ბრალდებული, თელავის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, ვანო ზანდარაშვილი ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ ცნეს.

ამ გადაწყვეტილებამდე 11 მსაჯული თითქმის 10 საათის განმავლობაში მსჯელობდა. მოსამართლემ ზანდარაშვლს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ვანო ზანდარაშვილის წინააღმდეგ გამოძიება განზრახ მკვლელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით მიმდინარეობდა. სახელმწიფო ბრალდება მას თელავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორის, 38 წლის ზურაბ საჩიშვილის მკვლელობას და მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის დაჭრას ედავებოდა. შემთხვევა 26 დეკემბერს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში მოხდა.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები

პოლიციამ თბილისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო, დაკავებულია ბრალდებული. სამინისტროს განცხადებით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მ.პ. თბილისში დააკავეს. მას ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედება.

„დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო „ჰეროინის“ შემცველი 164 გრამი ნარკოტიკული საშუალება და „ამფეტამინის“ შემცველი 83 გრამი ნარკოტიკი.

ლარი ჩვენი მღელვარებისა...

რა ელის ლარს საგარეო ვალის გასტუმრებისა და არჩევნების შემდეგ?!

სექტემბერში საგარეო ვალდებულებების გასტუმრების დრო დგება, რასაც წინასაარჩევნო პერიოდში გააქტიურებული ინფრასტრუქტურული პროექტებიც ემატება. ორივე მათგანი შეიძლება ლარის კურსზე უარყოფითად აისახოს. წინა წლებში არჩევნების შემდეგ, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ლარი, როგორც წესი, უფასურდებოდა. ეროვნული ბანკის მიერ $120 მლნ-ის გაყიდვის მიუხედავად, გასული წლის სექტემბერში ლარი დოლართან მიმართებაში 22 თეთრით 3.07-დან 3.29-მდე გაუფასურდა, არჩევნების შემდეგ 1 კვირაში კი 17 თეთრით.

მესამე კვარტალში მთლიანად, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორს, $1.075 მლრდ აქვს გადასახდელი, მათ შორის $128 მლნ პირდაპირ მთავრობას და $375 მლნ კომერციულ ბანკებს. აღნიშნული თანხა ჯამში მეორე კვარტლის მაჩვენებელზე მთელი $800 მლნ-ით ნაკლებია, მაგრამ ასევე სექტემბერში წინასაარჩევნო პერიოდში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ხარჯების ზრდაა მოსალოდნელი. სავალუტო აუქციონებითა თუ მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებით სებ-ი, სავარაუდოდ, კურსის შეკავებას შეეცდება. კურსის ხელოვნურად დაჭერის შემთხვევაში შედეგები თავს არჩევნების შემდეგ იჩენს. გასული წლის ოქტომბერში სებ-მა სავალუტო აუქციონზე $200 მლნ გაყიდა. არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს, დოლარი 3.23 ღირდა, 6 ნოემბერს უკვე 3.40.

2020 გამონაკლისი არ ყოფილა. 2018 საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, 28 ოქტომბერს, კურსი 2.70-ს შეადგენდა, 11 ნოემბერს, 2.77-ს, 2017 წლის 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების დღეს დოლარი 2.49 ღირდა, 1-ელ ნოემბერს — 2.61. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩევნების შემდეგ სწრაფ ვარდნას კურსის კორექტირება მოსდევდა ხოლმე და ის მცირედით ისევ მყარდებოდა. საბოლოოდ, რამდენიმე კვირაში ახალი წონასწორობის წერტილი დგინდებოდა. არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი გავლენას საბოლოო კურსზე ვერ ახდენდა, თუმცა დროის გარკვეულ მონაკვეთში მას ხელოვნურად აკავებდა.

2020 წლამდე შემოდგომის პერიოდში კურსზე დამატებით ზეწოლას შემცირებული ტურიზმი და შედეგად უცხოური ვალუტის შემცირებული შემოდინებაც ახდენდა. 2020 წელს ტურიზმი საერთოდ ჩავარდა, ბოლო თვეებში 300-400-პროცენტიანი ზრდის მიუხედავად, ტურისტების რაოდენობა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მეოთხედზე ნაკლებია, რაც ლარზე დადებით გავლენას ვეღარ მოახდენს.

გასული წლის იანვარ-აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა $330 მლნ გაყიდა, წელს იმავე პერიოდში 18%-ით ნაკლები — $270 მლნ. შარშან ბოლო 4 თვეში სებ—მა ბაზარს დამატებით 15 ინტერვენციის შედეგად $540 მლნ მიაწოდა. რას იზამს წელს რეგულატორი, უცნობია.ფაქტია, რომ კურსის და უფრო მეტად კი ინფლაციის შესაკავებლად რეფინანსირების განაკვეთს ზრდის. შარშან ის 9%-დან 8%-მდე შემცირდა, წელს კი პირიქით — 8%-დან 10%-მდე გაიზარდა, რითაც 124 000-ზე მეტ პირს ლარში აღებული სესხი გაუძვირდა და რამაც თავის მხრივ ახალ სესხებზეც შეამცირა მოთხოვნა. იმ ადამიანებს, რომლებმაც იპოთეკური სესხი 2019 წლის დასაწყისში აიღეს, საპროცენტო ხარჯი 3.5%-ით გაეზარდათ. 2020 წელს ლარი 14%-ით გაუფასურდა. ის, რომ წლის ბოლოს კურსი 3.27 იყო და არა 3.87 ან 4.27, ძირითადად საგარეო ვალების ხარჯზე მოხერხდა — ეროვნულ ბანკს რეზერვების შემცირების გარეშე 4870 მლნ-ის გაყიდვის შესაძლებლობა მიეცა.

კურსის ფორმირებაზე გავლენას სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორებიც ახდენს. 7 თვეში ექსპორტი $0.5 მლრდ-ით $2.276 მლრდ-მდე გაიზარდა, მაგრამ იმავე პერიოდში იმპორტი კიდევ უფრო მეტად — $840 მლნ-ით, რამაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი $340 მლნ-ით გაზარდა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ჯერჯერობით მხოლოდ პირველი კვარტლის შედეგებია ცნობილი, რაც $40 მლნ-იან კლებას ასახავს. გაზრდილია ტურიზმიდან მიღებული შემოსავალიც, თუმცა მეორე კვარტლის სტატისტიკა 6 სექტემბრის მდგომარეობით ისევ უცნობია. $335 მლნ-ით — $1.291 მლრდ-მდე გაზრდილია ფულადი გზავნილებიც.

კურსის გამყარება, ან რაიმე ნიშნულზე გაჩერება ეროვნული ბანკის პირდაპირი მოვალეობა არ არის. მისი ფუნქცია ფასების სტაბილურობაა. კურსის ვარდნა ინფლაციაზე ახდენს გავლენას, მაგრამ არა პირდაპირპროპორციულად. 2015 წელს, როდესაც ლარი 27%-ით გაუფასურდა, ინფლაცია 4%-ს უდრიდა. წელს ლარი 5%-ით გამყარდა, ინფლაცია კი 10-წლიან რეკორდს აღწევს და 12.8%-ს შეადგენს. 2012-2021 წლებში დოლარი 87%-ით გაძვირდა, ზოგადად ფასები — 48%-ით. როდესაც 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა, ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლად 3% განისაზღვრა, რომელიც აპრილში 6.5%-მდე დაკორექტირდა. მიმდინარე ინფლაცია თავდაპირველ სამიზნე მაჩვენებელს 4-ჯერ და კორექტირებულს 2-ჯერ აჭარბებს.

2013-2020 წლებში 2017 ერთადერთი იყო, როდესაც წლის ბოლო დოლარი უფრო იაფი ღირდა, ვიდრე წლის დასაწყისში. ჯერჯერობით იმავეს 2021 წელიც იმეორებს, მაგრამ წინ კიდევ 4 თვეა. იმავე 2017 წლის ბოლო 4 თვეში ლარი 14 თეთრით გაუფასურდა, 2020 წლის ბოლო 4 თვეში 19 თეთრით და 2016 წლის ბოლო 4 თვეში 35 თეთრით.

გიორგი ელიზბარაშვილი

ᲛᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ᲜᲐᲜᲘᲡ, ᲔᲙᲐᲡ, ᲜᲐᲬᲐᲚᲘᲐᲡ!

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ **ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ!**

ᲣᲤᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲙᲚᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲬᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘ“.

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲡ ᲞᲠᲘᲜᲪ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲯ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ „ᲛᲝᲜᲢᲔ-ᲙᲐᲠᲚᲝ ᲞᲘᲐᲜᲝ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲟᲘᲣᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ.

„ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲘ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲠᲘᲜᲪ ᲠᲔᲜᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲠᲐᲡ ᲙᲔᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲞᲠᲘᲜᲪᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲨᲔᲔᲮᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲢᲐᲚᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲓ ᲠᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔᲛ.



ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲔᲗ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲗ 103 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲠᲘᲤᲘᲜᲒᲖᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ �თᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ — ᲛᲐ�გᲓᲐ �გᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2022 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ 59-Ე ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲙᲐᲮᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ᲛᲐ�გᲓᲐ �გᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2004 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ �გᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚ-ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘ, 2008 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ, ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲝᲑᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ. 2015 ᲬᲔᲚᲡ, ᲛᲐ�გᲓᲐ �გᲣᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ �კᲝᲠᲔᲐᲨᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ — „ᲜᲐᲡᲢᲝᲛᲘ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ 56-Ე ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ �პᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ. 2014 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ, ᲛᲐ�გᲓᲐ �გᲣᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ — „ᲘᲡᲢᲐᲜᲑᲣᲚ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡ“ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ �კᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ — „ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ — ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ �თᲣᲠᲥᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ“, ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲓᲐ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 2022 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ.

„ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘ მᲮᲠᲘᲗ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ, ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ თᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ,“ — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐ�გᲓᲐ �გᲣᲠᲣᲚᲛᲐ.

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲔᲜᲐᲚᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1895 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ 120 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ.

„ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐᲚ „ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ, — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ Deadline-Ს ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲛᲐ ᲡᲙᲝᲢ ᲤᲠᲔᲜᲙᲛᲐ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ.

„ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲕᲣᲧᲔᲕᲘᲗ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲝᲚᲐᲪ ᲒᲕᲡᲣᲠᲓᲐ. ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲤᲣᲭᲔᲑᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲤᲠᲔᲜᲙᲛᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, „ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲰᲝᲠᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲘᲐ ᲢᲔᲘᲚᲝᲠ-ᲯᲝᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

„ᲨᲔᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲝᲚᲐᲪ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲰᲝᲠᲑᲔᲠᲒᲘ. 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ „ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘ“ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲘᲜᲘ-ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲯᲘᲚᲓᲝ „ᲔᲛᲘ“ ᲛᲘᲘᲦᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1- ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1155; ᲔᲕᲠᲝ - 3.6551;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2514;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.2814; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3602;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8353;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.4212.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 24 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+11,	ᲓᲦᲔ	+18
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+13
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+13,	ᲓᲦᲔ	+19
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+13
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+16,	ᲓᲦᲔ	+18

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge